SK 25 270
2

899.962.1.09

ვ. ...
16. XI. 37 წ.

ა. ს.

ვეფხის-ტყაოსნის

ისტორიულ-გეოგრაფიული საძიებელი

ეროვნ. ბიბ. ბეჭდვა

K 252270/2

სახელოვანი 1914

სატიტულო ფურცელი და გარეკანი—მხატვარ **ნ. ჩერნიშკოვისა.**

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა 3
გულანშარო 5
მულლაზანზარი 15
ქაჯეთი 19
არაბეთი 26
ხატაეთი 30
ხვარაზმი 32
ინდოეთი 35
ვეფხისტყაოსნის მარშრუტები 39
როდისაა დაწერილი ვეფხისტყაოსანი 45

წინასიტყვაობა

„ვეფხისტყაოსანს“ ვინც იცნობს ან ეცნობა, იცნობს როგორც მაღალი ხელოვნების პოეტურ ნაწარმოებს. სხვა მხრივ ეს უზარმაზარი კულტურული და ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი უცნობი და შეუსწავლელია. ამ ნარკვევის მიზანია „ვეფხისტყაოსნის“ ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების განხილვა.

„ოდისეას“ ისტორიულ-გეოგრაფიული ცნობების შესახებ უზარმაზარი ლიტერატურა არსებობს. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ რუსთაველის გმირები გაცილებით უფრო ფართო გეოგრაფიულ-ისტორიულ ასპარეზზე მოქმედებენ, ვიდრე ჰომეროსის გმირები.

„ოდისეა“ ძალიან დიდი ხანითაა ჩვენგან დაშორებული. ამიტომ მისი ისტორიული და გეოგრაფიული ცნობები ისე მარტივი და გულმისახვდომი არ არის ჩვენთვის, როგორც ვეფხისტყაოსნის ცნობები. მსოფლიო ისტორია და ეკონომიკა ჰომეროსის დროს ძალიან დაშორებული იყვნენ იმ მთლიანობას, რომელიც მათ ისლამურ ხანაში ახასიათებდა. ნუ დავივიწყებთ აგრეთვე, რომ ისლამური ვაჭრობა და კულტურა ინდოეთის სიღრმიდან აფრიკის სიღრმემდე წვდებოდა. გავიხსენოთ, რომ მე-19 საუკ. გეოგრაფიული აღმოჩენები აფრიკაში მხოლოდ ისლამური აღმოჩენების განმეორებანი იყვნენ ხშირად. ამიტომ საკვირველი არაა, რომ მსოფლიოს პოლიტიკური და გეოგრაფიული სურათი, რომელსაც რუსთაველი გვაცნობს, არა თუ უფრო ცხოველი და სახიერია, არამედ გაცილებით უფრო ფართო და ვრცელი. შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველის ნაწარმოებში ვრცლად და ცოცხლად არის დასახული მთელი სისტემა თანადროული სახელმწიფოებისა.

გავიხსენოთ ჯერ ყველა, რუსთაველის მიერ დასახელებული, სახელმწიფოები და ქვეყნები: არაბეთი, ინდოეთი, ქაჯეთი, ხვარაზმი, ხატაეთი, ჩინი (ჩინეთი), მულღაზანზარი, რომანია, გულანშარო—აი, რუსთაველის დროის სახელმწიფოთა სისტემა და სია. მკითხველმა იცის, რომ, ამ სახელმწიფოთაგან მგოსანს ზოგი მხოლოდ სახელითა აქვს მოხსენებული (მაგალითად, ჩინი, რომანია), ზოგი კი ვრცლად აქვს დახასიათებული (გულანშარო, მულღაზანზარი); ზოგი თხზულის სახელით აქვს მოხსენებული (გულანშარო, მულღაზანზარი), ზოგი კი საკუთარის სახელით (არაბეთი, ინდოეთი, ხატაეთი, ჩინი, რომანია, ხვარაზმი).

თუმცა ყველა ჩამოთვლილი სახელები ნამდვილ ისტორიულ სახელმწიფოებს აღნიშნავენ, თუმცა ყველა ცნობები, რომლებიც მგოსანს მათ შესახებ მოყავს, ჩვეულებრივ უტყუარ ისტორიულ ცნობებს წარმოადგენენ, მიუხედავად ამისა დღემდის არავის გამოურკვევია, თუ რა სახელმწიფოებს გვაცნობს რუსთაველი გულანშაროს, მულლაზანზარისა და ქაჯეთის სახელებით. შემდეგ უნდა აღინიშნოს, რომ თუმცა სახელები, როგორც არაბეთი—ინდოეთი—ჩინი, ჩვენთვის კარგად ცნობილია, მაგრამ, როგორც მკითხველი დაინახავს, რუსთაველისთვის ამ სახელებს სულ სხვა შინაარსი ჰქონდა, ვიდრე დღეს ჩვენთვისაა ქვს.

მესამე ტიპის სახელმწიფოების სახელები, როგორც ხვარაზმი—ხატაეთი—რომანია, თუმცა ისტორიულად და გეოგრაფიულად არსებული სახელმწიფოების სახელებია, მაგრამ, თუ მკითხველი სპეციალურად არ იცნობს აღმოსავლეთის ისტორიას, მისთვის ეს ისტორიული სახელმწიფოების სახელები უშინაარსო და მნიშვნელობას მოკლებული არიან.

ამ წიგნაკის მიზანია ყველა ამ პრობლემის შეძლებისდა გვარად გაშუქება.

რუსთაველის დროის მსოფლმხედველობა მხოლოდ სამ მატერიკს იცნობდა ხუთის მაგიერ (ამერიკა და ავსტრალია ჯერ არ იყვნენ ამ დროს აღმოჩენილი). მგოსნის მიერ დასახელებული სახელმწიფოები მთელ იმ დროს ცნობილ ქვეყანაზე არიან გაბნეული შორეული აღმოსავლეთიდან შორეულ დასავლეთამდე (ხატაეთი—ქაჯეთი). ამასთან ერთად მგოსანი ზოგიერთი ამ შორეული ქვეყნის აღწერაში ისეთ განსაცვიფრებელ დეტალებს გვაცნობს, რომლებიც დღეს ჩვენთვის მიუწვდომელი არიან. ვინც ამ წიგნაკს წაიკითხავს, ალბათ დაადასტურებს ჩვენს რწმენას, რომ მგოსანი ან თვითონ ყოფილა იმ ქვეყნებში, რომელთაც ის გულანშაროს ან ქაჯეთის სახელით აღნიშნავს, ან კიდევ პირადად სცნობია ამ ქვეყნებში მყოფნი. სხვაფრივ წარმოუდგენელია და გაუგებარი ის ცოცხალი სინამდვილით გაჟღენთილი დეტალური სურათები, რომლებითაც ის ამ ქვეყნებს გვისახავს[1].

---

[1]) „ვეფხისტყაოსნის" ადგილების სტროფების ჩვენება ქვემოთ ყველგან მოცემულია პროფ. ი. ა ბ უ ლ ა ძ ი ს გამოცემის მიხედვით (ტფილისი, 1926).

გულანშარო

ყველაზე ვრცელს, გარკვეულს, მრავალმხრივსა და დაწვრილებითს ცნობებს მგოსანი გულანშაროს შესახებ გვაწვდის. განვიხილოთ ეს ცნობები. პირველ ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ, რომ გულანშარო ქალაქის სახელია:

930. თვით გულანშაროს ქალაქი, სავსე ტურფითა მრავლითა.

მაგრამ ეს ქალაქი გულანშარო, რომელიც ზღვის პირას მდებარეობს, წარმოადგენს სახელმწიფოს, — და სახელდობრ ზღვათა სამეფოს, რადგან გულანშაროში მისულს ავთანდილს უსენის მებაღე უხსნის:

930. ესეა ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა.

მაშასადამე, აქ სახელმწიფო-ქალაქზეა ლაპარაკი, ისეთ სახელმწიფო-ქალაქზე, როგორიც იყვნენ თავის დროზე ათენი, რომი, კართაგენი. ეს სახელმწიფო-ქალაქი ზღვაოსნური ხასიათისა იყო, რომლის კოლონიები დიდ მანძილზე იყვნენ გაბნეული („ზღვათა სამეფო თვისა ათისა სავლითა"). შემდეგ მგოსანი ერთს მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის გულანშაროს შესახებ. ის „ზღვათა მფლობელს" უწოდებს „დიდსა მეფესა ზღვათასა". ეჭვს გარეშეა, აქ „თალასოკრატიაზე" არის ლაპარაკი. მაშასადამე, სახელმწიფო-ქალაქი გულანშარო არა მარტო ძლიერი და დიდი „ზღვათა სამეფო", არამედ ზღვაზე გაბატონებული თალასოკრატორი სამეფო იყო. თალასოკრატორი სახელმწიფოები, რომელნიც უხილავს ისტორიას თითებზე ჩამოითვლება. ისიც ვიცით, რომელ სახელმწიფოს რა დროიდან რა დრომდე შერჩა თალასოკრატორობა. ფინიკია, ათენი, კართაგენი, რომი, ბიზანტია, ვენეცია — აი, ძველი და საშუალო საუკუნეების თალასოკრატორები. ახალ საუკუნეებში თალასოკრატორების რიცხვში ჩვენ ვხვდებით პორტუგალიას, ესპანიას, ჰოლანდიასა და ინგლისს.

მე-12 საუკუნიდან მე-15 ს. დამლევამდე თალასოკრატია ვენეციას ეკუთვნოდა, ესაა სწორედ ის სახელმწიფო-ქალაქი, რომელსაც რუსთაველი გულანშაროს სახელით გვაცნობს. ვენეცია ზღვის პირას მდებარე ქალაქი იყო და სახელმწიფოც. ამ სახელმწიფოს წმინდა ზღვაოსნური ხასიათი ჰქონდა. ის ოთხი საუკუნის განმავლობაში გაბატონებული იყო ზღვაზე. მისი ფაქტორიები და კოლონიები მაელ სამ მატერიკზე იყო გაბნეული.

სანამ „ვეფხისტყაოსნის" სხვა ცნობებზე გადავიდოდეთ, კიდევ ორ სიტყვას ვიტყვით თალასოკრატიის მეცნიერული მნიშვნელობის

შესახებ. ეს ტერმინი ძველთა ძველია, მისი სისწორე-უსწორობის შესახებ კამათი ჯერაც არ დასრულებულა. ჩვენს საბჭოთა სამხედრო აკადემიაშიც გვყვანან მისი დამცველები და მოპირდაპირეები (იხ. Иванов и Смирнов, Англо-америк. морские противоречия). „თალასოკრატორი“ ბერძნულად ნიშნავს „ზღვის მპყრობელს“. ამ ტერმინის მოპირდაპირენი აღნიშნავენ, რომ ზღვის პყრობა, რაგინდ ძლიერიც უნდა იყოს ფლოტი, ტექნიკურად განუხორციელებელია. რუსთაველიც, როგორცა ჩანს, ამ აზრისა იყო: ამიტომ ის ზღვაზე გაბატონებულ გულანშაროს — ვენეციას — „ზღვის მყრობელს“ კი არა, „ზღვის მფლობელს“ უწოდებს, მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი „თალასოკრატორი“ მისთვის ეჭვს გარეშეა ცნობილი იყო.

ვისაც ვენეციის მოკლე დამახასიათებელი თვისებებით აღწერა სურს, ის ისევე დაიწყებს დახასიათებას, როგორც ჩვენი მგოსანი: „ზღვათა სამეფო“ და „ზღვათა მფლობელი“. ავიღოთ, მაგალითად, შ ე რ ე რ ი ს აღწერა. იგი სწერს: „ჩვენ დავინახეთ, რომ იტალიელი მეტოქეები იძულებული გახდენ (ზღვაზე) ბატონობა ადრიას დედოფლისათვის (ვენეციისათვის) დაეთმოთ. ასე შეიქმნა ვენეცია არარაობიდან მსოფლიო ძალად (Weltmacht). მაგრამ ვენეცია არ იყო მარტო „ზღვათა ბატონი“ და სხვ.

ზღვათა ფლობისათვის პირველ ყოვლისა ძლიერი ფლოტია საჭირო, რომელიც ვენეციას მართლაც მოეპოვებოდა. ამ ფლოტის სიძლიერე ჩვენ შეგვიძლია იქიდან დავინახოთ, რომ მეოთხე ჯვაროსნულ ომში მონაწილე ჯარი ევროპიდან ვენეციის ფლოტმა გადმოზიდა აზიაში. და არა მარტო გადმოზიდა. ვენეცია იმდენად ძლიერი იყო, რომ მან დაუსახა მიმართულება თვით ჯვაროსანთა ომს. ყველამ კარგად იცის, რომ ჯვაროსნების მიზანი თითქოს იერუსალიმის „განთავისუფლება“ იყო „ურწმუნოთაგან“, მაგრამ ვენეციელი ვაჭრები რეალური პოლიტიკოსები იყვნენ: ამათ უკეთ იცოდენ, ვის რა მიარბენინებდა აღმოსავლეთში. ამიტომ მათ ადვილად დაარწმუნეს ჯვაროსნები, რომ მისი პოება, რასაც ჯვაროსნები აღმოსავლეთში ეძებდენ, კონსტანტინეპოლშიც შეიძლებოდა. და, მართლაც, აქეთ უქნეს მათ პირი ჯვაროსნებს.

ვენეციის ძლიერების შემზღუდველი, მისი ვაჭრული ჰეგემონიის მეტოქე და ზღვაზე ბატონობის მოპირდაპირე ამჟამად უმთავრესად ბიზანტია იყო (გენუის გარდა). ამიტომ სურდა მას მისი დამხობა. ჯვაროსნების შემწეობით მან მიაღწია კიდეც მიზანს. 1205 წელს შეერთებულმა ძალებმა აიღეს კონსტანტინეპოლი და ბიზანტიის ადგილზე ლათინთა სამეფო „რ ო მ ა ნ ი ა“ დააარსეს.

რაც შეეხება ვენეციის უფრო სუსტ მოპირდაპირეს, გენუას, მას კიდევ უფრო სასტიკად გაუსწორდენ ვენეციელები.

შევეხოთ ახლა ორიოდე სიტყვით ზღვათა სამეფოს მთავარ ძალას, ფლოტს. ალორძინების ხანაში ვენეციაში 3000 სავაჭრო და 45 საომარი გემი ითვლებოდა (კურცოლასთან ბრძოლაში გენუის წინააღმდეგ ვენეციის მხრივ 60 სამხედრო გემი იღებდა მონაწილეობას). ეს 45 სამხედრო გემი 25 ათას მეომარსა და 11 ათას მატროსს იტევდა. რაკი ვენეცია ზღვაზე გაბატონებულ სამეფოს წარმოადგენდა, რომლის ფაქტორიები მთელი დედამიწის ზურგზე იყო გაბნეული, მისი ფლოტი დღევანდელ ინგლისის ფლოტივით სხვადასხვა ზღვებში იყო განაწილებული. ტანას (შემდეგი დროის აზოვის) და ყირიმის კოლონიების დასაცავად 8—10 სამხედრო გემი იყო გამოყოფილი. ამდენივე სტამბოლისა და შავი ზღვის კოლონიებისათვის. ცალკე ერთეულები იყო გამოყოფილი კვიპროსის და აიაცოს, სირიის, ეგვიპტის, აფრიკისა და სხვა ფაქტორიების დასაცავად. ფლოტის დანიშნულება, ომის წარმოების გარდა, ვაჭრობის დაცვა იყო. რაკი ამ დროს საზღვაო კანონები არ არსებობდა და მეკობრეობა ძალიან გავრცელებული იყო, ამიტომ შორეულ მგზავრობას ცალ-ცალკე გემების მაგიერ გემთა ქარავნები აწარმოებდენ, რომელთაც ჩვეულებრივ სამხედრო გემები მფარველობდენ. ამით აიხსნება, რომ რესპუბლიკის მთავრობის განკარგულებით გემთა ქარავნები განსაკუთრებულ დროს და განსაკუთრებულის წესით მიემგზავრებოდენ ვენეციიდან სხვადასხვა ქვეყნებში: ენკენისთვეში—ალექსანდრიისაკენ, მკათათვეში—შავი ზღვისაკენ და სხვა. ამით აიხსნება აგრეთვე ვენეციის ფლოტის დანაწილება სხვადასხვა ქვეყნებზე. ერთეულები ჩვეულებრივ ცალკე კომანდირებს ემორჩილებოდენ. ადრიის ფლოტს ადმირალი მბრძანებლობდა, რომელიც „სრუტის კაპიტანის“ ტიტულს ატარებდა. ასეთივე კაპიტნები იხსენებიან შავ ზღვაზე, კვიპროსზე და სხვაგან. ამ კაპიტნების უფლება განუსაზღვრელი იყო არა მარტო სამხედრო გემებზე, არამედ სავაჭრო გემებზედაც, რომელთაც ისინი „კონვოით“ მიჰყვებოდენ. თუ ომის საფრთხე გაჩნდებოდა, ან მეკობრების ძლიერი რაზმი მოიყრიდა სადმე თავს, ფლოტის უფროსები ვალდებულნი იყვნენ შეთანხმებით არა თუ „კონვოი“ გაეძლიერებინათ, არამედ ვაჭრები და მათი საქონელი სამხედრო გემებზე გადაეზიდათ. როგორც კი გემები დანიშნულების ადგილს მიაღწევდენ, კაპიტნის უფლებები რესპუბლიკის ადგილობრივ წარმომადგენელზე, კონსულზე, გადადიოდა.

ასეთი დიდი ფლოტის შესაკეთებლად და განსაახლებლად რესპუბლიკას უზარმაზარი არსენალი ჰქონდა, რომელშიაც თავის დროზე 16 ათასი კაცი მუშაობდა.

თუ საქონელი სამხედრო გემით შედიოდა რესპუბლიკაში, მაშინ მთავრობა ფრახტს კმაყოფილდებოდა, რომელიც საქონლის ღირებულების 2—3% შეადგენდა ჩვეულებრივ. კერძო გემით მოსული საქონლიდან კი მთავრობა 5% ბაჟს იღებდა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდი მნიშვნელობის შემოსავლის წყარო იყო ვენეციისათვის მისი ფლოტი. განსაკუთრებით დიდი შეიქმნა ამ შემოსავლის წყაროს მნიშვნელობა ჯვაროსნული ომების დაწყების შემდეგ. როგორც ვიცით, ევროპის სახელმწიფოების ჯარებს აღმოსავლეთისაკენ იტალიის ქალაქების, პირველ ყოვლისა ვენეციის, ფლოტი ეზიდებოდა. როცა „ჯულის დამცველებს“ ფული შემოაკლდებოდათ, მაშინ ვენეცია პოლიტიკურ დავალებებს ასრულებინებდა მათ. ვენეციელებმა მიადენეს, მაგალითად, ჯვაროსნები ქრისტიანულ ქალაქს ზარას, რომელიც ვაჭრობით და მეკობრეობით ვენეციას ხელს უშლიდა. ჯვაროსნებმა დააქციეს და დაარბიეს ეს ქალაქი. შედეგი ამისა ის იყო, რომ ვენეციამ კონკურენტიც მოიშორა და ფულიც დაიბრუნა.

ორი გარემოება უწყობდა ხელს, რომ ფლოტი დაუშრეტელი შემოსავლის წყაროდ გადაქცეულიყო ვენეციისათვის: 1) სახელმწიფო თვით ეწეოდა ვაჭრობას ზოგიერთი მასობრივი და პირველმოთხოვნილების საქონლით, როგორც მაგალ. მარილითა და პურით; 2) ვენეციის კომერციული პოლიტიკა მუდამ იქით იყო მიმართული, რომ ვენეცია ერთად-ერთი მონოპოლიური შუამავალი ყოფილიყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებულ საქონლის ტრიალში. ამისათვის ის ორ საშუალებას ხმარობდა: ჯერ ერთი, მეტად ლიბერალურ საბაჟო პოლიტიკას აწარმოებდა; შემდეგ, ის ავალებდა ყოველ გემს, რომელიც აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ დაიძროდა ან დასავლეთიდან წინააზიისკენ, უსათუოდ ვენეციის ნავთსადგური გაეარა. გაკვრით უნდა შევნიშნოთ, რომ ვენეციის ლიბერალური საბაჟო პოლიტიკა, ისევე როგორც ინგლისისა ერთ დროს, ფლოტის ძლიერებაზე ემყარებოდა, რომელსაც ბადალი არ ჰყავდა.

ვენეციის სამფლობელო რომ უზარმაზარი იყო, ამას მგოსანიც განსაკუთრებით აღნიშნავს („თვისა ათისა საკლითა“) და ისტორიაც. ამ სამფლობელოს ეკუთვნოდა პირველ ყოვლისა ე. წ. „ტერა ფირმა“ ანუ კონტინენტის ნაწილი, რომელიც ვენეციის „ჰინტერლანდს“ წარმოადგენდა. ვენეციას ეკუთვნოდენ აგრეთვე პროვინციები: ისტრია, დალმაცია და ალბანია. გაცილებით დიდი მნიშვნე-

ლობისანი იყვნენ ვენეციის „ზღვის იქითა“ სამფლობელოები. ესენი ორი ტიპისანი იყვნენ: საკუთარი კოლონიები, როგორც ევბეა, მორეა, როდოსი, კიკლადის კუნძულები, კორფუ, კვიპროსი, ტანა და სხვ.; 1204 წლის შემდეგ რესპუბლიკის ხელში გადავიდა კონსტანტინოპოლის სამი მეოთხედი, ისევე როგორც რომანული იმპერიის სამი მერვედი. მეორე ტიპის სამფლობელოები კონცესიის ან ყიდვის გზით სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე დაარსებულ ფაქტორიებს ანუ, როგორც ვენეციელები უწოდებდენ, „ფონდახიებს“ წარმოადგენდენ. ვენეციელების უდიდეს ასეთ კოლონიას ჯვაროსნული ომების დაწყებამდე კონსტანტინოპოლში ვხვდებით. ეს ფაქტორია პერაში მდებარეობდა და ათ ათასზე მეტს მობინადრეს შეიცავდა. კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ ეს ფაქტორია, როგორც ვთქვით, კიდევ უფრო გაიზარდა. ასეთივე ფაქტორიები ჰქონდათ ვენეციელებს რუმელიისა და სირიის თითქმის ყველა ქალაქში. დიდი მნიშვნელობისანი იყვნენ ვენეციის ფაქტორიები ისეთ დიდ ქალაქებში, როგორიც იყო ალექსანდრია, დამასკო, ბაღდადი. მათი (განსაკუთრებით ალექსანდრიის) საშუალებით ასაზრდოებდა ვენეცია უმეტოქეოდ მთელ ევროპას ინდოეთის ნაწარმოებებით. აღმოსავლეთის ფაქტორიებს შემდეგში მოემატნენ ახალი ფაქტორიები ტუნისსა და ტრიპოლისში. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ვენეციისათვის ტრაპიზონისა და შავი ზღვის სხვა ფაქტორიებს, რომელთა საშუალებით ის მთელი შავი ზღვის ვაჭრობას სასურველ გეზს აძლევდა. მივუმატოთ ამას საფრანგეთში (მარსელი, მონპელიე) და ესპანიაში (კადიქსი, სევილია, ბარცელონა) არსებული ვენეციის ფაქტორიები და მაშინ დავინახავთ, რომ „დიდ ზღვათა სამეფოს“ კოლონიები და ფაქტორიები ყველა სამ, მაშინ ცნობილ, მატერიკზე იყვნენ გაბნეული.

ფაქტორია ჩვეულებრივ შეიცავდა საკონსულოს, სასამართლოს, სასაფლაოს, აბანოს, ეკლესიას სახაბაზოს, ბაზარს. ისეთი დიდი ფაქტორიები, როგორც ალექსანდრიისა, ჩვეულებრივ მთელს დიდ კვარტალს შეიცავდენ, რომლის შენობები წრის ფორმაზე იყვნენ ერთმანეთზე მიშენებული, ასე რომ ღამეობით მთელი კვარტალი იკეტებოდა და ადგილობრივი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ გადადიოდა.

არც კოლონიებითა და ფაქტორიებით განისაზღვრება „ზღვათა სამეფოს“ ეკონომიური მნიშვნელობა. მისი უზარმაზარი ვაჭრული ქსელი გაცილებით უფრო შორს უწევდა, ვიდრე მისი ფაქტორიების სისტემა, განსაკუთრებით კონსტანტინოპოლში გაბატონების შემდეგ.

ამ მსოფლიო ცენტრს იმიტომ ემტერებოდენ ასე მწარედ ვენეციელები, რომ მათ კარგად ესმოდათ მისი შეუდარებელი გეოგრაფიული დაკომერციული მნიშვნელობა. ბოსფორის სრუტის საშუალებით კონსტანტინოპოლს მთელი შავი ზღვის ვაჭრობა ეჭირა ხელში. შავ ზღვაში ჩანადენი მდინარეების საშუალებით (დონი, დნეპრი, დუნაი) ის უზარმაზარ ტერიტორიაზე ავრცელებდა თავის გავლენას. შემდეგ ზღვის გზით კონსტანტინოპოლი მთელი აღმოსავლეთის ცნობილ ცენტრებთან იყო დაკავშირებული: ბაღდადი, დამასკო, ბასრა, კორდოვა. კონსტანტინოპოლის ხელში ჩაგდების შემდეგ მთელი ეს ეკონომიური ქსელი ვენეციის ხელში გადავიდა. რესპუბლიკამ კიდევ უფრო გააცხოველა და გააფართოვა ეს ქსელი. აღმოსავლეთით მისი ვაჭრობა ბუხარა-სამარყანდამდე უწევდა, სადაც ვენეციელები ინდოეთისა და ჩინეთის საქონელს ყიდულობდენ. განსაკუთრებული მნიშვნელობა დაედვა ამ გზას მის შემდეგ, რაც კათოლიკურმა ეკლესიამ აღუკრძალა ქრისტიანებს „ურწმუნოებთან“ (მუსლიმებთან) ვაჭრობა. ამის შემდეგ ინდოეთის ვაჭრობა ნახევარი საუკუნის განმავლობაში ამ გზით სწარმოებდა, რომელიც სავსებით ვენეციელების ხელში იყო. ეს უძველესი გზა, რომელიც სტრაბონის აღწერით მის დროს საქართველოზე გადმოდიოდა, ვენეციელებმა ასტრახანზე და აზოვზე გადაატარეს. აზოვიდან საქონელი კონსტანტინოპოლში მიდიოდა და ნაწილობრივ აქ საღდებოდა. უმთავრესი ნაწილი კი შემდეგ ვენეციელებს დუნაის გზით თვით შეჰქონდათ ევროპაში.

იტალიის ქალაქებისა და პირველ ყოვლისა ვენეციის შეუდარებელი აღორძინებით იწყება ევროპის სავაჭრო კაპიტალიზმის აღორძინებაც. ამის მრავალმნიშვნელოვანი საბუთი ისაა, რომ ძველი ევროპის ცნობილი კომერციული ცენტრები (ბაზელი, სტრასბურგი, ულმი, აუგსბურგი, რეგენსბურგი, ნიურნბერგი და სხვ.) ჩვეულებრივ იტალიიდან გადმოსავალ გზებზე ან მათ ჯვარედინებზე არიან აღმოცენებული.

ასეთი იყო რუსთაველის დროს მის მიერ ცოცხალი ფერადებით დასახული „ზღვათა სამეფო“. ზემოხსენებულის შემდეგ ადვილი წარმოსადგენია, თუ რა უზარმაზარი საქონლის ტრიალი და ცოცხალი აღებ-მიცემობა უნდა ყოფილიყო ამ მსოფლიო ცენტრში. კომერციული ცხოვრება რომ „დუღდა და გადადიოდა“ აქ, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ვენეციამ პირველმა შემოიღო ევროპაში ვექსილი და პირველმა დააარსა მეთორმეტე საუკუნის დამლევს ბანკი.

შევადაროთ ახლა ზემოხსენებულს რუსთაველის ცნობები ვენეციის ყოფა-ცხოვრების შესახებ. შედარება დაგვანახვებს, რომ რუს-

თაველს უფრო ცოცხალი წარმოდგენა ჰქონდა თანამედროვე ვენეციის შესახებ, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია ვიქონიოთ.

930,3. აქ მოდის ტურფა ყ ვ ე ლ ა ი ზღვა-ზღვა ნავითა მავლითა.

930,2. თვით გულანშაროს ქ ა ლ ა ქ ი, სავსე ტურფითა მრავლითა

930¹. აქა მოსვლითა გაყმდების კაცი, თუც იყოს ბერები:
სმა, განარება, სიცილი, ნიადაგ არნ სიმღერები,
ვინცა გვიცნობენ, გვნატრიან, იგიცა, ვინა მტერები.

ისტორია სიტყვა-სიტყვით ადასტურებს აქ გადაშლილ სურათს. „ვენეცია აყვავებული სავაჭრო ცენტრი იყო“ სწერს შ ე რ ე - რ ი. ყველა მწერლები მოწმობენ, რომ რესპუბლიკის შემოსავალი, ისევე როგორც კერძო პირთა სიმდიდრე, ყოველს, მანამდე ცნობილ, დონეს აღემატებოდა. შენობების მშვენიერებით, ოქრო-ვერცხლის, თვალ-მარგალიტისა და ყველა იმის სიმრავლით, რითაც ფუფუნებასა და კეთილდღეობას გამოხატავენ, ვერც ერთი ალპების გადაღმა მდებარე მხარე ვერ შეედრებოდა ვენეციას“ (გვ. 328).

ვენეციის მრავალსართულიანი მშვენიერი შენობები, რომელნიც მაშინდელი ევროპისათვის ისევე უცნობნი იყვნენ, როგორც ჩვენთვის ამერიკული „ცასმიბჯენილი“ სახლები, რუსთაველის სპეციალურ ყურადღებასაც იქცევდა თავის დროზე. ის ასე აგვიწერს ჯერ ფატმანისა და შემდეგ ჩაჩნაგირის სახლებს:

989. იქ ბაღსა შიგან ტურფანი სახლნი ნატიფად გებულნი,
მაღალნი, ყოვლგნით მხედველნი, ზღვას ზედა წაკიდებულნი.

975. ზღვის პირსა სახლი ნაგები დგას ქვითა წითელ-მწვანითა,
ქვებითვე სრითა ტურფითა, კვლავ ზედათ ბანის-ბანითა,
დიდროვანითა, ტურფითა, მრავლითა, თანისთანითა.

ვენეციის ასეთი შეუდარებელი კეთილდღეობის წყარო, როგორც ვიცით, საგარეო ვაჭრობა იყო. მკითხველმა იცის უკვე, რომ მას მონოპოლიური შუამავლის ადგილი ეჭირა აღმოსავლეთსა და ევროპას შუა არსებულ საქონლის ტრიალში. „აქ მოდის ტურფა ყველაი ზღვა-ზღვა ნავითა მავლითა“. აქედან ადვილი გასაგებია, რომ აქ

930². დიდვაჭარნი სარგებელსა ამის მეტსა ვერ ჰპოვებენ,
იყიდიან, გაჰყიდიან, მოიგებენ, წააგებენ,

გლახა თვე ერთ გამდიდრდების, სავაჭროთა ყოვლგნით ჰკრეფენ,
უქონელნი წელიწდამდის საქონელსა დაიდებენ.

ამ სურათსაც სიტყვა-სიტყვით ადასტურებს ისტორია. იგივე შ ე რ ე რ ი სწერს: „უცხოელთა მიმოსვლა აქ ყოველ ზომას აღემატებოდა, აქ შეხვდებოდით ქრისტიანს, მაჰმადიანს, ებრაელს, რომელნიც სავაჭრო ურთიერთობაში იყვნენ გაბმულნი ვენეციასთან. აქვე ვხედავთ ჩვენ გერმანელების, სომხების[1], ოსმალოების, ბერძნებისა და სხვათა კოლონიებს“ (გვ. 321).

მგოსანმა და ისტორიკოსმა თანხმობით გადაგვიშალეს ვენეციის ცოცხალი კომერციული ცხოვრების სურათი. ეს თანხმობა უფრო შორს გრძელდება, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მგოსანი ვენეციის სავაჭრო პოლიტიკის ზოგიერთ მნიშვნელოვან მხარესაც გვაცნობს. უსენის მებაღის პირით რუსთაველი გვაგონებს:

931. თვით ესე ბაღი მისია თქვენი სადგომი დღესისა,
პირველ მას მართებს ჩვენება ყოვლისა უტურფესისა.
942. დილასა ლარი ყველაი უჩვენა, გაახსნევინა,
ტურფანი სეფედ გადახსნა, ფასიცა დაათვლევინა.

შ ე რ ე რ ი ასე გვიხსნის ამ ამბავს: ვენეციაში არსებული კანონის ძალით უცხოელ ვაჭრებს შემოტანილი საქონელი უსათუოდ ვენეციელი ვაჭრისათვის უნდა მიეყიდათ. არც უცხოელი (არა ვენეციელი) ვაჭრისათვის მიყიდვის, არც უკან გატანის უფლება მათ არ ჰქონდათ. ამ კანონიდან გამომდინარეობდა ლოგიკურად მეორე კანონი, რომელზედაც ისტორიკოსი არას გვეუბნება და რომელსაც მგოსანი გვაცნობს—*კანონი უპირატესობისა*. რაკი შემოტანილი საქონელი უცხოელ ვაჭარს უსათუოდ ვენეციელი ვაჭრისათვის უნდა მიეყიდა, უპირატესობის კანონი მოითხოვდა საქონელი იმ ვენეციელ ვაჭარს ენახა პირველად, რომლის საწყობში ან ქარვასლაში ის ეწყო. აქედან ადვილი გასაგებია მებაღის კარნახი: „*პირველ მას მართებს ჩვენება ყოვლისა უტურფესისა*“.

სანამ გულანშაროს გამოვეთხოვებოდეთ, კიდევ რამდენიმე მოვლენას უნდა შევეხოთ, რომელნიკ მგოსანს ხაზგასმით აქვს გაშუქებული გულანშაროს აღწერის დროს: 1) *გულანშარო ქრისტიანული ქვეყანაა*, 2) *გულანშარო ვაჭრული რესპუბლიკა არის*, 3) *გულანშარო სამხრეთით მდებარეობს ზღვის პირას*.

[1]) სომხებს აქ მთელი კუნძული ეჭირათ საკუთრივ.

რომ აქ ქრისტიანულ ქვეყანაზეა ლაპარაკი, ამას მე მგონია დიდი მტკიცება არ უნდა. „ღვინის მსმელი“, მოქეიფე ფატმან-ხათუნის სურათი შეუძლებელია მაჰმადიანი ქალისგან იყოს გადმოღებული. სრულიად არ შეეფერება მაჰმადიან ქალს უცხო ვაჭრის მიღება, მასთან ახდილად ლაპარაკი და მასპინძლობა, და განსაკუთრებით ქმრის მაგიერ მასთან აღებ-მიცემობა და ანგარიშების გასწორება. არა თუ მაჰმადიან ქალს, ეს სურათი არც ევროპელ ქალს შეეფერება საშუალო საუკუნეებში, თუ იტალიის რესპუბლიკა-ქალაქებს არ მივიღებთ მხედველობაში.

მეორე საკითხის შესახებ მგოსანი გვაუწყებს, რომ გულანშაროში ვაჭრებს ცალკე კორპორაცია ჰქონიათ. ამ კორპორაციას თუ კორპორაციებს ძალიან დიდი გავლენა ჰქონიათ სამეფოში:

984. ამა ქალაქსა წესია დღესა მას ნავროზობასა:
არცავინ ვაჭრობს ვაჭარი, არცავინ წავა გზობასა.
985. ჩვენ დიდ ვაჭართა ზედა გვაძს დარბაზს მიღება ძღვენისა,
მათ საბოძვრისა ბოძება ჰმართებთ მსგავსისა ჩვენისა.
986. ქმარი ჩემი დიდ ვაჭართა წაუძღვება უსენ წინა,
მათთა ცოლთა მე წავასხამ, მაწვეველი არად მინა.
დედოფალსა ძღვენსა ვუძღვნით მდიდარი თუ გლახა ვინა,
დარბაზს ამოდ გავიხარებთ, მხიარულნი მოვალთ შინა.

მაშასადამე, ახალწელწადს ვაჭართა კორპორაცია ესტუმრება მეფეს და მასთან ატარებს დროს, ვაჭრის ცოლები კი დედოფალთან. მაგრამ მარტო ახალწელიწადს კი არ მიდიან დიდი ვაჭრები მეფესთან, არამედ, როცა მოესურვებათ.

1024. უსენ მითხრა: არ მინახავს ძოლანდლითგან მეფე ჩვენი.

ეს საბუთი საკმაოა, რომ ვაჭარმა უსენმა შემდეგი გადაწყვეტილება მიიღოს:

1024. მივაზირებ, წავალ, ვნახავ, უდარბაზო, უძღვნა ძღვენი.

ამგვარად, დიდი ვაჭარი უსენი დაუპატიჟებლად ესტუმრება მეფეს. მეფე სიხარულით ეგებება თავის „არიფს“ (მეგობარს—დოსტს), დაისვამს გვერდით და ორივენი კარგად გადაჰკრავენ.

უცნაურ ამბებს გვაუწყებს თითქოს აქ მგოსანი: ახალწლის დარბაზობის დღეს მეფის სასახლეში ვაჭრებსა და ვაჭრის ცოლებს ეხედავთ, რომელთა წრეში მეფე დროს ატარებს; თავად-აზნაურობაზე, სამხედრო პირებზე და სხვებზე კრინტიც არაა დაძრული. კი-

დევ უფრო საკვირველია მეფისა და ვაჭრის „არიფობა“ (დოსტობა). ასეთი დარბაზობა და გახსაკუთრებით ასეთი „არიფობა“ არა თუ ფეოდალურ-ბატონყმურ-არისტოკრატიულ საშუალო საუკუნეებს, თვით დემოკრატიულ მეოცე საუკუნესაც ძნელად შეეფერება.

ყველა ეს „უცნაურობანი“ სულ ადვილი გასაგები შეიქნება ჩვენთვის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ვენეცია, რომელზედაც აქ ლაპარაკია, თვით იყო ვაჭართა რესპუბლიკა.

ვენეციის რესპუბლიკა ასამდე კუნძულზე იყო გაბნეული. წინათ აღმასრულებელი ძალის მატარებლად ყოველი ასეთი კუნძული ცალკე „ტრიბუნს“ ირჩევდა ვაჭართა წრიდან. მე-7 საუკუნის დამლევს ყველა ერთეულებმა ერთი საერთო ტრიბუნის არჩევა დათქვეს, ე. წ. დოჯის სახელით. დოჯს წარჩინებულ ვაჭართა წრიდან ირჩევდენ. გვერდით მას ახლდა ვაჭართაგანვე შემდგარი საბჭო. ამ დოჯზე აქვს სწორედ მგოსანს ლაპარაკი. მაგრამ რაკი დოჯის ხელში უზარმაზარი აღმასრულებელი ძალა იყო მოკრეფილი, მას არათუ რუსთაველი, ისტორიკოსებიც ხშირად იხსენებენ, როგორც მთავარს ან ჰერცოგს. დოჯი, ისევე როგორც მუსსოლინის დღევანდელი ტიტული „დუჩე“, ლათინური dux-იდან წარმოდგება, რაც წინამძღოლს აღნიშნავს. დოჯის მეუღლე „დოჯესსად“ იწოდებოდა. ამ დროის ვენეციელი დოჯის და მისი დოჯესას სახელები გაცილებით მეტს ნიშნავდენ, ვიდრე ევრობის რომელიმე მბრძანებლისა. მათი სადარბაზო ეტიკეტი კიდევ უფრო დიდის სიამაყითა და თავმომწონეობით იყო გაჟღენთილი, ვიდრე დასავლეთ ევროპის სხვა ნამდვილი მეფეებისა. დასამტკიცებლად მკითხველს ვთხოვთ ყურადღება მიაქციოს დოჯის შემდეგ გაბრტყელებულ ოფიციალურ ტიტულს: Dominator quartae partis et dimidiae totius imperii Romaniae: მთელი რომანული იმპერიის მეოთხედისა და მერვედი ნაწილის მბრძანებელი. განსაკუთრებით რუსთაველის ხანაში და სახელდობრ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ დოჯი დანდოლოს ავტორიტეტს ევროპაში ბადალი არ ჰყავდა.

არც მესამე მუხლს ე. ი. იმას სჭირდება ბევრი მტკიცება, რომ გულანშარო სამხრეთით მდებარეობს. ამის შეურყეველი საბუთი თვით მგოსანს მოჰყავს: „ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს ყვავილი ფერად-ფერები“ (930[1]). ვენეციას კარგად შეეხამება ეს აღწერა. აბა აქ იცის ჩვეულებრივი ზამთარი, რადგან აქაურ ზომიერ და თბილ ჰავას ზღვა კიდევ უფრო არბილებს. ფატმანის შავგვრემანობაც, თუ მას ტიპიურ მოვლენად ჩავთვლით, კარგად ეგუება იტალიის სინამდვილეს, რადგან საშუალო ტიპი აქაც შავგვრემანია.

მულღაზანზარი

ამ სამეფოს სახელიც უცნობია ისტორიისათვის. იგიც თხზული ან რომელიმე პოეტური ნაწარმოებიდან ამოღებული უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, როგორც გულანშარო უდრის ვენეციას, ისე მულღაზანზარი უნდა უდრიდეს რომელიმე ისტორიულ სამეფოს. კითხვის გადასაჭრელად მოვისმინოთ ჯერ, რას გვაუწყებს ამ სამეფოს შესახებ თვით „ვეფხისტყაოსანი“:

498. ღამით მევლო, მოვიდოდი ზღვისა პირსა, აჩნდეს ბაღნი;
ჰგვანდეს ქალაქს, ვიახლენით, ცალ-კერძ იყვნეს კლდეთა ნაღნი.

ასე გვაცნობს მულღაზანზარს ტარიელის პირით მგოსანი, ფრიდონის პირით კი ის შემდეგს გვაუწყებს:

507. მულღაზანზარის ქალაქი ახლოს მე მაქვსო რომელი,
ნურადინ-ფრიდონ სახელ მძეს, მეფე ვარ მუნა მჯდომელი,
ესე საზღვარი ჩემია, სადა ხარ გარდამხდომელი,
ცოტა მაქვს, მაგრა ყოველგან სიკეთე მიუწდომელი.

ტარიელიც ადასტურებს ამ სურათს:

518. მივედით მისსა ქალაქსა, ტურფასა, მაგრამ ცოტასა.

შემდეგ

519. მივედით ვნახეთ ქალაქი მისი ტურფა და მდიდარი.
543. ესე ქალაქი გზა არის ნავთა ყოველგნით მავალთა.

ყველაზე საყურადღებო მულღაზანზარის გეოგრაფიული მდებარეობის გამოსარკვევად შემდეგი ადგილია:

842. აქამდის ზღვარი თურქთაა, მომზღვრე ფრიდონის ზღვრებითა.

ყველა ეს ცნობები ასეთ საყურადღებო თვისებებს გვიხატავენ მულღაზანზარის სამეფოსას: 1) მულღაზანზარი არის სახელმწიფო და ამასთანავე ქალაქი, 2) მულღაზანზარი მდებარეობს ზღვის პირას, 3) ეს სახელმწიფო-ქალაქი საზღვაო ვაჭრობას ეწევა, პატარაა მაგრამ მდიდარი („სიკეთე მიუწდომელი“), 4) მულღაზანზარის ქალაქი და სამეფო თურქების მოსაზღვრეა და, მაშასადამე, აზიაში მდებარეობს, რადგან თურქები ამ დროს ჯერ არ იყვნენ ევროპაში

გადასულნი. თუ ყველა ამ ცნობებს მხედველობაში მივიღებთ, მაშინ ერთად-ერთი მულლაზანზარის საბადლო სამეფო ტრაპიზონის სამეფო გამოგვივა.

ტრაპიზონის სამეფო სწორედ რომ „ცოტა“ იყო, რადგან ის ქალაქი ტრაპიზონის და მისი პაწია „ჰინტერლანდისაგან“ შესდგებოდა. მიუხედავად ამისა იგი დიდ კეთილდღეობას განიცდიდა, რადგან შუამავლის როლს ასრულებდა შავი ზღვის მონაპირე ქვეყნებისა და დასავლეთის (განსაკუთრებით ვენეციელების) ქვეყნების ვაჭრულ ურთიერთობაში. ვენეციელებს სპეციალური ხელშეკრულება ჰქონდათ ტრაპიზონელებთან, რომელიც უკანასკნელებს აგენტების როლს ავალებდა შავი ზღვის აუზში. შეერთებული ვენეციურ-ტრაპიზონული ვაჭრობა, რასაკვირველია, საქართველოსაც სწვდებოდა.

ტრაპიზონი სახელმწიფოც იყო და ქალაქიც. იგი ზღვის პირას მდებარეობს დღესაც. ეს სახელმწიფო თავის დროზე ე. წ. რუმელი თურქების მოსაზღვრე იყო („მომზღვრე ფრიდონის ზღვრებითა“).

ამ მოსაზრებებს რომ თავი დავანებოთ, საკმაოა ტრაპიზონის გარეგანი თვისებების შედარება მულლაზანზარის თვისებებთან, რომ ამ ორი სამეფოს იდენტიურობა ცხადი შეიქნეს ჩვენთვის. მოვიგონოთ მულლაზანზარის გარეგანი აღწერა:

498. ღამით მევლო, მოვიდოდი ზღვისა პირსა, აჩნდეს ბაღნი, ჰგვანდეს ქალაქს, ვიახლენით, ცალ-კერძ იყვნეს კლდეთა ნაღნი.

რას დავინახავთ ჩვენ, ზღვის პირიდან რომ ტარიელივით მივუახლოვდეთ ტრაპიზონს. პირველ ყოვლისა იმავე ბაღებს. ტრაპიზონი დღესაც ბაღებშია ჩაფლული. ლ ი ნ ჩ ი გვაუწყებს, რომ მე-17 საუკუნის საბუთების მიხედვით ტრაპიზონის გარშემო 30 ათასამდე ბაღ-ვენახი ითვლებოდა. დავინახავთ ჩვენ აგრეთვე „კლდეთა ნაღებსაც“. ასეთი „ნაღი“ რამდენიმე აქვს ტრაპიზონის სანაპიროს. ორი ასეთი ნაღი წარმოადგენს ამ ქალაქის ნავთსადგურს.

ტრაპიზონის სამეფო კარგად ცნობილი უნდა ყოფილიყო „ვეფხისტყაოსნის“ ავტორისათვის, რადგან იგი ქართველების წყალობით იყო დაარსებული თამარის დროს.

ანდრონიკე კომნენის ჩამოგდებას საშინელი სისხლის ღვრა მოჰყვა, რომლის დროსაც ისიც დაიღუპა და მისი ჩამომავლობაც. გადარჩენ მხოლოდ მისი ორი მცირეწლოვანი შვილისშვილი, ალექსი და დავითი, რომელთაც ფარულად ინახავდენ კონსტანტინოპოლში. 1203 წელს, როდესაც ბიზანტიის მთავარმა ქალაქმა სამკვდრო-

სასიცოცხლო ბრძოლა იწყო ჯვაროსნებთან, ყმაწვილები საქართველოში გამოიხიზნენ. შემდეგს „ბიზანტიელების ისტორიის“ ავტორი ჰერცბერგი ასე გადმოგვცემს. „მაშინ ბიზანტიასთან დაახლოებულ საქართველოს, ძლიერს და მდიდარს, განაგებდა კომნენების ახლო ნათესავი თამარი (1184—1212), განთქმული ხელგაშლილობით, განათლებითა და მმართველის უნარით. თამარი მამიდა იყო ახალგაზრდებისა, ამასთანავე ის ცუდ განწყობილებაში იყო ალექსი მესამესთან. მან ისარგებლა ამიტომ შემთხვევით და მისცა თავის ნათესავებს საშუალება სამეფოს დაარსებისა. ალექსიმ და დავითმა ძლიერი იმერული ჯარის თანხლებით გადალახეს ძველი სამეფოს საზღვრები და სწრაფად ჩაიგდეს ხელში პონტოს და პაფლაგონიის მხარე“.

ამგვარად მოხდა ტრაპიზონის სამეფოს დაარსება. ჰერცბერგი იმაში სცდება მხოლოდ, რომ თამარ მეფეს ალექსის და დავითის მამიდას უწოდებს. შეცდომა ამგვარად წარმოსდგა. ჰერცბერგს, როგორცა ჩანს, უსარგებლია ფალმერაიერის მიერ შედგენილი „ტრაპიზონის ისტორიით“, სადაც ესვე შეცდომაა გამეორებული, ხელთ კი არ ჰქონია „ისტორია“ ტრაპიზონელი. პანარეტოსისა, რომელიც მე-15 საუკუნის I ნახევარშია დაწერილი პანარეტოსის ისტორიიდან ჩანს, რომ თამარი, რომელზედაც ჰერცბერგი ლაპარაკობს, ყოფილა ანდრონიკე კომნენის ქალიშვილი, მანუელ კომნენის და, ალექსის და დავითის მამიდა. მას წამოუყვანია საქართველოში ყმაწვილები. ტრაპიზონის სამეფოს დაარსება 1204 წელს მოხდა. პანარეტოსის სიტყვით, მეფედ ალექსი იქმნა დაყენებული, დავითი კი ტრაპიზონის გვერდით შეუდგა ახალი სამფლობელოს შეძენას. სანამ მას ბიზანტიიდან გამოძევებული თევდორე ლასკარი არ გადაუდგებოდა წინ, მას მოწინააღმდეგე ძალა არ ჰყავდა. ერთ დროს მან სინოპიც ჩაიგდო ხელში. ლასკარისთან შეჯახებამ დაასუსტა ის და მომავალიც დაუკარგა. ვერც ტრაპიზონის სამეფო ხეირობდა, რადგან ერთი მხრით იგივე ლასკარი იყო მისთვის საშიში, მეორე მხრით კი რუ'ელი თურქები—სელჯუკები. ძაგრამ ქართველების შემწეობით ტრაპიზონის სამეფო მაინც განაგრძობდა ცალკე არსებობას. მიუხედავად ამისა, ის ხარკს უხდიდა რუმელ თურქებს, თითქოს იმ მოსაზრებით, რომ მათ ხელი არ შეეშალათ მისი აყვავებული ვაჭრობისათვის.

დასასრულ, კიდევ ერთი საყურადღებო გარემოება—არგუმენტი უნდა მოვიხსენიოთ, რომელიც ტრაპიზონისა და მულლაზანზარის იდენტიურობას აუცილებლად ხდის: ფრიდონის პირით მგოსანი გვაუწყებს, რომ მულლაზანზარის ახლო „ზღვათა შიგან კუნძულია“

რომელიც პაპა მისმა ფრიდონს არგუნა. თუ ტრაპიზონი მულღაზანზარია, მასაც უნდა ახლდეს „ზღვათა შიგან“ ეს კუნძული. მკითხველს ნუ გაუკვირდება, თუ ის ვერ ჰპოებს მისთვის ხელმისაწვდომ ჩვეულებრივ რუკებზე ამ კუნძულს. ეს კუნძული არა თუ არსებობს, არამედ, როგორც ლ ი ნ ჩ ი მოგვითხრობს, ტრაპიზონელი შეძლებული წრეებისათვის საგარაკო ადგილის როლს ასრულებს.

ქაჯეთი

რუსთაველი ამ ქვეყნის შესახებაც ისეთ გარკვეულს და დეტალურ ცნობებს იძლევა, რომ მათი გადმოღება დღევანდელ ისტორიულ-გეოგრაფიულ ენაზე სულ ადვილი საქმეა. ჩვენი ანალიზი შეგვეძლო ასე დაგვეწყო. სად უნდა ვეძიოთ ქაჯეთი? რაკი იტალიიდან და განსაკუთრებით ვენეციიდან ხმელის გზით მხოლოდ ევროპაში შეიძლება გაქცევა, რაკი ქაჯი მეკობრეები მინდორში შეხვდენ ნესტანდარეჯანს, რაკი მეკობრეები ჩვეულებრივ დიდ საქარავანო გზებს ეტანებიან, რაკი ვენეცია ლომბარდიის ვაკეზე მდებარეობს, რომელსაც ჩამოუდის ის ისტორიული გზა, რომლითაც ჰანნიბალის შემოსევა მოხდა იტალიაში და რომლითაც ამ დროს გაბატონებული ვაჭრობა სწარმოებდა ევროპასთან, ცხადია ნესტანდარეჯანი ამ გზით სტოვებდა ვენეციის საზღვრებს და მიდიოდა ქაჯეთში. თვით ქაჯეთი, მაშასადამე, ევროპაში უნდა ვეძიოთ. მაგრამ დავანებოთ ამ ანალიზს თავი, მივმართოთ იმ საგულისხმო დეტალურ ცნობებს, რომელთაც მგოსანი გვაწვდის ქაჯეთის ციხის შესახებ. ამ გზით სულ ადვილად გამოირკვევა ქაჯეთის რაობა.

1103. ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია,
ქალაქსა შიგან მაგარი **კლდე მაღალი და გრძელია,**
მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია,
მუნ არის მარტო მნათობი მისთა შემყრელთა მწველია.

გავითვალისწინოთ აქ ჩამოთვლილი თვისებები: 1) აქ არის ლაპარაკი ქალაქზე, რომელშიაც არის მ ა ღ ა ლ ი დ ა გ რ ძ ე ლ ი კ ლ დ ე; 2) ეს კლდე ქალაქს ისეთი სიმაგრის ციხე-ქალაქად აქცევს, რომ ის ა რ ა ვ ი ს ა უ ღ ი ა („მტერთაგან უბრძოლველია"); 3) კლდეში გვირაბია, რომლითაც ადიან მაღლა ციხეში. ეს „მ ა ღ ა ლ ი დ ა გ რ ძ ე ლ ი კ ლ დ ე" დიდ როლს თამაშობს ციხე-ქალაქის რაობაში, რადგან მგოსანი ხშირად აქცევს მას ყურადღებას. შეადარე მაგ. შემდეგი ადგილები: „არ ქაჯნია, კაცნიაო, მიპყრობიან კ ლ დ ე ს ა ს ა ლ ს ა", „ახლოს მახლავნ დ ი დ ნ ი კ ლ დ ე ნ ი"; „ყოვლგნით კლდეა გარეშემო", „გარე კლდე იყო".

როგორც ვიცით, მგოსანი ქაჯთა ქალაქს ციხე-ქალაქად გვისახავს:

1135. „ციხისა კარნი დახშულნი შევლნა მართ ვითა ღიანი".

ნესტანდარეჯანიც ციხედ ასახელებს ქაჯთა ქალაქს:

1156. ციხეს ვზი ეზომ მაღალსა, თვალნი ძლივ გარდასწვდებიან.

ციხე სწორედ ამ თვალუწვდენსა და მაღალ კლდეზეა გაშენებული, რადგან ციხეში მჯდომი ნესტანდარეჯანი სწერს:

1158. აქა თავსა გარდავიქცევ, ახლოს მახლავნ დიდნი კლდენი.

ამას ფრიდონიც ადასტურებს, რომელიც ასე აგვიწერს ქაჯეთის ციხე ქალაქს:

1233. ქაჯეთს ერთხელ მეც ვყოფილვარ, ნახავთ თქვენცა გეშაგრების,
ყოვლგნით კლდეა გარეშემო მტერი ვერა მიადგების,
თუ იდუმალ არ შეუვალთ, ცხადად შებმა არ ეგების.

შემდეგ გმირებიც რწმუნდებიან ამაში, როდესაც ახლოს ხედავენ ქაჯეთის ციხე-ქალაქს:

1236. მივიდეს, აჩნდა ქალაქი, მცველთა ვერ დასთვალვიდიან:
გარე კლდე იყო, გუშაგთა ხმა ჯარვით გაადიდიან.

ყველა ამ ტაეპებში მოხსენებული ნიშნები რომ დავაგროვოთ, ასეთს სურათს მივიღებთ: 1) აქ არის ლაპარაკი ქალაქზე, 2) ქალაქს თან ახლავს ციხე, 3) ციხე მაღალსა და გრძელ კლდეზეა აშენებული, 4) კლდე ისეთი მაღალია, რომ თვალნი ძლივ გარდასწვდებიან, 5) ციხე „მტერთაგან უბრძოლველია“ ე. ი. აუღებელია. ამიტომ „ემაგრების“ ის გმირებს და ამიტომ სურთ მათ მისი ანაზდად აღება ქაჯთა მთავარი ძალების დაბრუნებამდე. დავიმახსოვროთ ყველა ეს თვისებები და მოვიძიოთ ამ თვისებების ციხე-ქალაქი დღევანდელ მსოფლიოში. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ თუ საშუალო საუკუნეებში ეს ციხე-ქალაქი აუღებელი იყო, დღევანდელ იმპერიალისტურ ხანაში კიდევ უფრო გამაგრებული იქნება ის ახალი ტექნიკის წყალობით.

რომ მკითხველის ოცნებას ძალა არ დავატანოთ ჩვენ არ გავამჟღავნებთ ჯერ ამ ციხე-ქალაქის დღევანდელ სახელს, რომელსაც იგი კარგად იცნობს (აქ მართლაც მსოფლიოს ერთ უდიდეს და აუღებელსა და მიუდგომელ ციხე-ქალაქზეა ლაპარაკი). ჩვენ მოვიყვანთ დღევანდელი სხვადასხვა წყაროებიდან ამ ციხე ქალაქის აღწერებს. მკითხველმა შეადაროს ეს აღწერები შოთას აღწერებს და ის ადვილად დარწმუნდება 1) რომ აქ ერთსა და იმავე ობიექტზეა ლაპარაკი, 2) რომ შოთას ზედმიწევნითი სისწორით აქვს ეს ციხე-ქალაქი აწერილი. მოგვყავს ჯერ სტრაბონის გეოგრაფიის და შემდეგ ფრანგული, გერმანული, ინგლისური და იერი რუსული ლექ-

სიკონის მოკლე აღწერები. ყველა აღწერებში ჯერ-ჯერობით სტრაბონისეულ სახელს ვხმარობთ, რომელიც ამ კლდეს „კალპას“ უწოდებს, მის ქვეშ მდებარე ქალაქს კი კარტეიას.

„ ... იმყოფება კლდე კალპა. სივრცით კლდე დიდი არ არის, მაგრამ მისი დაქანებული სიმაღლე იმდენად დიდია, („თვალნი ძლივ გარდასწვდებიან“), რომ შორიდან იგი კუნძულს ჰგავს. კლდის ახლოს არის მშვენიერი ძველი ქალაქი კარტეია“.

კ.—„ეს სალი კლდის მასივია, სიმაღლით ნახევარი კილომეტრი და სიგრძით ოთხი კილომეტრი (შეადარე: „ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია“), რომელიც ზარბაზნებითაა შემოსილი და ნახევარკუნძულს ჰგავს“ (Larive et Fleury).

კ.— „ეს თითის ფორმის მსგავსი გაგრძელებაა კონტინენტისა. ეს გაგრძელება წარმოადგენს ხუთი კილომეტრის სიგრძის დაქანებულ კლდეს, რომელიც ბუნებას და სამხედრო ხელოვნებას აუღებელ ციხედ გადაუქცევია. კლდის დასავლით მდებარეობს ქალაქი“ (Wurm, Volkslexikon).

„კლდე ყოველ მხრივ დაქანებულია და უერთდება კონტინენტს მხოლოდ ერთ ადგილას ვიწრო ყელით. ქალაქი ბუნებას აუღებელ ციხედ გადაუქცევია. ქალაქში 1836 წელს ოცი ათასი მცხოვრები ითვლებოდა“ (Muray, Encycl. of Geogr.).

„კლდე წარმოადგენს უზარმაზარ ქვაკირის მასივს, სიგრძით ოთხ კილომეტრს და სიმაღლით 429 მეტრს. ჩრდილოეთით და აღმოსავლეთით კლდე კედელივითაა დაქანებული, დასავლით და სამხრით კი ნაკლებ. კლდის ქვეშ გაშენებულია ქალაქი, რომელშიაც ოცი ათასი მცხოვრები ითვლება“ (Большая Сев. Энциклопедия).

მგონი მკითხველი დაგვეთანხმება, 1) რომ ზემოთ მოყვანილი ცნობები პირწმინდად ეთანხმებიან რუსთაველის ცნობებს და 2) რომ მგოსანს განსაცვიფრებელი სისწორით აქვს აწერილი ყოფილი ქაჯეთის ციხე-ქალაქი. ამ აღწერებში ჩვენ შევხვდით: 1) აუღებელ-მიუდგომელ ციხეს, 2) მის ქვეშ გაშენებულ ქალაქს, 3) მაღალსა და გრძელ კლდეს, რომელსაც მართლაც „თვალნი ძლივ გარდასწვდებიან“, რადგან ამ კლდის სიმაღლე ნახევარ კილომეტრს უდრის, სიგრძე კი 4—5 კმ-ს. დ. გვრჩა ერთი-ღა გარემოება, რომელიც შოთას აქვს მოხსენებული: „მას კლდესა შიგან გვირაბი, ასაძრომელი ხვრელია“. ამ გარემობას ბროკჰაუზის ლექსიკონი ასე გვიხსნის: „კლდე ქვაკირის ფორმაციისა და დახლართულია გვირაბებით, რომელნიც მიწის ქვეშა გალერეებით არიან შეერთებულნი“.

ამ აუღებელი ციხე-ქალაქის რომაული ხანის სახელი კალპა იყო (ქალაქისა კარტეია). დღევანდელი მისი სახელი წარმოსდგება „ჯებელ-ალ-ტარიკ“-ისაგან, რაიცა ნიშნავს ტარიკის გორას. ეს მოხდა ასე იმიტომ, რომ ეს კლდე აიღო და გაამაგრა პირველად მავრების სარდალმა ტარიკმა 711 წელს. „ჯებელ-ალ-ტარიკ“-იდან წარმოსდგა დღევანდელი გიბრალტარი. ვინ არ იცის რომ გიბრალტარი მსოფლიოში მართლაც „მტერთაგან უბრძოლველ“, მიუდგომელ ციხეს წარმოადგენს. ეს ციხე, ისევე როგორც ესპანიის დიდი ნაწილი, რვაასი წლის განმავლობაში მავრების ხელში იყო.

მაშასადამე, რუსთაველის ქაჯეთი—ეს ესპანური **მავრეტანია** გახლავთ, ქაჯეთის საკვირველი ციხე კი გიბრალტარია. მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ქაჯეთის საკვირველი კლდე შემთხვევით არ გამხდარა რუსთაველის პოეზიის ობიექტი. მას უძველესი დროიდან (ფინიკიელებიდან დაწყებული) მრავალი საუკუნის განმავლობაში კარგად იცნობდა კაცობრიობა, განსაკუთრებით მეზღვაური ერები. ბერძნულ თქმულებებში ეს კლდე დიდ როლს თამაშობდა. ამ კლდესა და მის პირდაპირ აფრიკის სანაპიროზე მდებარე უფრო დაბალ კლდეს, ალიშას, უწოდებდა სწორედ ბერძნულ-რომაული თქმულება „ერეკლეს სვეტებს“.

დასასრულ, შევეხოთ ორიოდე სიტყვით ქაჯეთის სამოქალაქო ისტორიას. მავრეტანიის დაპყრობის შემდეგ აქაური მთავარ-სარდალის მუსას ერთმა ჯარისკაცმა ტარიკმა 711 წელს გადაიარა გიბრალტარის სრუტე და პირველ ყოვლისა იმ კლდეს დაეპატრონა, ანუ როგორც რუსთაველი სწერს „მიეპყრო“, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. ესპანია ამ დროს ვესტგოტების ხელში იყო, რომელთაც ძარცვა-გლეჯის და ბარბაროსული ძალმომრეობის მეტი არა შეუტანიათ რა ამ ქვეყანაში. ტარიკმა ადვილად დაამარცხა იმავე 711 წელს კადიქსის ახლო მათი მთავარი ძალები, რის შემდეგ მან გაუჭირვებლივ აიღო კორდოვა. 712 წელს თვით მთავარ სარდალი მუსა შეესია ესპანიას ახალი 18 ათასი კაცით. ჯარები უმთავრესად მავრებისაგან შესდგებოდა. მუსამ აიღო სევილია და შემდეგ ტოლედოს მიაშურა. გზაზე მან ტარიკის ჯარიც შეიერთა. ვესტგოტების მთავარი ძალების დამარცხების შემდეგ მუსლიმების ჯარს სერიოზულ წინააღმდეგობას ველარავინ უწევდა, ამიტომ შესძლო მუსამ თითქმის მთელი ესპანიის ხელში ჩაგდება პირენეებამდე. როგორც ვიცით, შემდეგში მავრებმა პირენეებიც გადალახეს, მოედვენ საფრანგეთს და იწევდენ წინ, სანამ კარლოს მარტელმა არ დაამარცხა ისინი ტურსა და პუატიეს შუა მომხდარ ბრძოლაში. პირენე-

ების გადალმა მხარის დიდიხნით შერჩენა თუმცა მავრებმა ვერ მოახერხეს, მაგრამ ესპანიას ისინი 800 წლის განმავლობაში შერჩენრუსთაველის დროს მათს ბატონობას ესპანიაში უკვე რამდენიმე საუკუნის ისტორია ჰქონდა. ამ ხანაში შედიოდა ესპანური მავრეტანიის აღორძინების უმწვერვალესი პერიოდებიც.

მავრებმა შეიტანეს ისპანიაში 1) შაქრის ლერწამი, 2) ბამბა, 3) აბრეშუმი. მათ დასერეს ანდალუზიის ვაკე არხებით, რომლებიც დღემდის ასაზრდოებენ ამ ქვეყანას. მათ გააშენეს აქ საუკეთესო ჯიშის ცხენები და განსაკუთრებით ცხვრები. განავითარეს ძველთაგან ცნობილი, მაგრამ მივიწყებული, მთამადნეულობის დამუშავება. მავრებმა დაუკავშირეს ესპანია მთელ ისლამურ მსოფლიოს (აზიას, აფრიკას), მათ გააბეს მჭიდრო სამეურნეო კავშირი ევროპასთანაც, განსაკუთრებით იტალიასთან, ბიზანტიასთან და საფრანგეთის პროვინციებთან. აქაური ნაწარმოებნი, სახელდობრ 1) მურციის ქსოვილები, 2) გრენადის აბრეშუმი, 3) ტოლედოს იარაღი, მთელ მაშინდელ მსოფლიოში იყვნენ ცნობილნი. საგარეო ვაჭრობა უმთავრესად ზღვის გზით სწარმოებდა. განთქმული იყო ნავთსადგურები: ალმერია, მალაგა, კადიქსი, სადაც პირველი ადგილი პიზის, გენუის და ვენეციის გემებს ეჭირათ.

მავრეტანიის მთავარი ქალაქები კორდოვა და სევილია ამ დროს უდიდესი კულტურული ცენტრები იყო. კორდოვას უნივერსიტეტი, სადაც ათასობით ითვლებოდენ მოსწავლენი, დიდად ცნობილი იყო, როგორც ისლამურ, ისე ქრისტიანულ ქვეყნებში. აქაური ბიბლიოთეკა 400 ათას ტომს შეიცავდა. მავრებმა შექმნეს, როგორც ვიცით, საკუთარი სტილი არქიტექტურაში. ამ სტილის საკვირველ ნაწარმოებს წარმოადგენს კორდოვას მეჩეთი თავისი 860 მარმარილოს სვეტით.

მეცნიერების განვითარებაში კორდოვას და სევილიას ისეთივე დიდი ღვაწლი მიუძღვით, როგორც ბაღდადს. განსაკუთრებით მედიცინა იყო აქ კარგად დაყენებული, რომლის ერთი წარმომადგენელთაგანი იბნ-როშდი, იგივე ა ვ ე რ ო ე ს ი, საშუალო საუკუნეების უდიდესი ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი იყო. კარგად იყო აგრეთვე აქ დაყენებული გეოგრაფია, ისტორია, მათემატიკა, ფილოსოფია, ფილოლოგია.

ბიზანტიელებთან მავრებს, როგორც აბასიდების მეტოქეებს, საუკეთესო განწყობილება ჰქონდათ.

მავრების მაღალ კულტუროსნობის საუკეთესო მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს მათ მიერ ლოიალურად გატარებული რწმენის

თავისუფლების პოლიტიკა. ამ პოლიტიკას მოჰყვა შედეგად ის, რომ ევროპის ბარბაროსული კათოლიკური სახელმწიფოების მიერ ყველგან დევნილმა ებრაელებმა აქ ჰპოვეს თავშესაფარი და დიდი როლიც ითამაშეს მავრების კულტურულს და ეკონომიურ აღორძინებაში. მავრების ესპანიიდან გაძევების შამდეგ ებრაელებიც იძულებული შეიქმნენ მიეტოვებინათ აქაურობა და გადასახლებულიყვნენ გერმანიაში, ჰოლანდიაში, ოსმალეთში და სხვა ქვეყნებში.

მავრეტანიის კულტურული და ეკონომიური სიმაღლით, რომელსაც, როგორც ჩანს, რუსთაველი კარგად იცნობდა, აიხსნება, ალბათ, მისი დიდი რესპექტი ქაჯებისადმი.

დავუბრუნდეთ ისევ ცოტახნით ჩვენს ანალიზს. რომ შოთას ქაჯეთი იგივე მავრეტანია არის, ეს შემდეგიდანაც ჩანს. რუსთაველი „შავს“ „ქაჯს“ და „ზანგს“ სინონიმებად ხმარობს. ყველაზე უკეთ ეს შეშდეგი ადგილიდან ჩანს: როდესაც ავთანდილმა ნესტანდარეჯანის ამბავი გამოარკვია, ის ეუბნება ფატმანს:

1125. მომგვარე ქაჯეთს გავგზავნო იგივე მონა გრძნეული.

თხოვნის შედეგი ასეთია: ფატმანმა

1126. მოჰგვარა მონა გრძნეული, შ ა ვ ი მართ ვითა ყორანი,

ეს მონა მიდის ქაჯეთს და გაივლის ციხის კარს. შემდეგ მგოსანი მოგვითხრობს:

1135. შევიდა ზ ა ნ გ ი პირშავი, თმა-გრძელი, ტანნაბდიანი.

ამავე პირშავ ზანგს მეორე ტაეპში მგოსანი უკვე ქ ა ჯ ს უწოდებს:

1136. ქაჯმან უთხრა: ვინ გგონივარ, ანუ აგრე რად დაბნდები.

მაშასადამე, შოთას ტერმინოლოგიით ქაჯი, შავი და ზანგი ერთი და იგივეა. განვიხილოთ ეს ტოლება ფილოლოგიურად. რუსთაველის ეთნოგრაფიული ტერმინი „შავი“ ისეთივე კანონიერია, როგორც „მავრი“; რაც ქართულად „შავია“, ისაა სწორედ ბერძნულად „მავრი“. მეორე მხრივ რაც ბერძნულად მავრია ის ლათინურად ნეგრია (ლათინურად niger—შავია). შავს ნიშნავს აგრეთვე ზანგიც.

რომ რუსთაველის სახელმწიფოები და ქვეყნები რეალური ისტორიული სამეფოები და ქვეყნებია, ამაზე ყველა დაგვეთანხმება. საეჭვო გვრჩება ჩვენ მხოლოდ შემდეგი საკითხი: შესაძლებელია, რომ თვით „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებიც ისტორიულნი იყვნენ და, თუ ჩვენ ამ პერსონაჟების ისტორიულ სახელებს არ ვიცნობთ,

ეს იმის ბრალია, რომ საკმაოდ დეტალურად არ ვიცნობთ რუსთაველის თანამედროვე ისტორიას. სხვა მოვლენებთან ერთად ჩვენს ეჭვს მაგალითად შემდეგი ამბავი იწვევს, რომელსაც რუსთაველი გვიყვება ქაჯეთის შესახებ მონა ქაჯის პირით:

1081. მე ვარო მონა მეფისა მაღლისა ქაჯთა მფლობლისა,
მათ მიჰხვდა ცემა სენისა, მათისა დამამხობლისა:
მოგვიკვდა შემწე ქვრივისა, შემწყალებელი ობლისა,
აწ შვილთა მისთა და მისი ზრდის, უკეთესი მშობლისა.

შოთას თანამედროვე მბრძანებელი ქაჯეთისა იყო მანსურის შვილი მ ა ჰ მ ა დ ი (1198—1213), ოომელიც თავის თავს ოფიციალურად „ენ-ნასირს“ ანუ მხსნელს, შემწეს უწოდებდა. ეს „შემწე“ მართლაც ადრე მოკვდა, სულ 34 წლისა და „შემწეს“ მისი მცირე წლოვანი (15—16 წლის) შვილი მოჰყვა მემკვიდრედ.

არაბეთი

ამ სახელს დღევანდელი მკითხველისათვის უმთავრესად გეოგრაფიული შინაარსი აქვს. მის გაგონებაზე ის უსათუოდ არაბეთის ნახევარკუნძულს წარმოიდგენს. რუსთაველისათვის, ისევე როგორც მის თანამედროვეთათვის, ამ ტერმინს სულ სხვა შინაარსი უნდა ჰქონოდა: რუსთაველი და მისი თანამედროვენი არაბეთს იმ ქვეყანას უწოდებდენ, სადაც არაბთა სახელმწიფო არსებობდა, სადაც არაბთა უმრავლესობა ცხოვრობდა და სადაც არაბული ენა იყო გაბატონებული. რუსთაველის ხანაში არაბეთის ნახევარკუნძულზე აღარც თვალსაჩინო და დამოუკიდებელი არაბთა სახელმწიფო ყოფილა და აღარც არაბთა უმრავლესობა ცხოვრობდა. ამ დროს არაბები მთელ ქვეყანაზე იყვნენ გაბნეულნი, არაბთა ერის მთავარი მასა კი წინააზიაში იყო დაბინადრებული. აქ შეადგენდა იგი მცხოვრებთა უმრავლესობას. აქ იყო მისი ენა გაბატონებული, აქ ჰქონდათ მათ შექმნილი ძლიერი სახელმწიფო ერთეულები.

რომ მკითხველს არ ეუცხოვოს ჩვენი მსჯელობა, ჩვენ მოვაგონებთ მას, რომ დღესაც არსებობს ამიერკავკასიის ახლო, გაცილებით უფრო ახლო ვიდრე რუსეთის ან უკრაინის ცენტრები, არაბული სახელმწიფო, სადაც მცხოვრებთა უმრავლესობა არაბებია, გაბატონებული ენაა არაბული და სახელმწიფოს გამგეც არაბია. ჩვენ ე. წ. ერაყზე (მესოპოტამიაზე) გვაქვს ლაპარაკი. თუ მკითხველი ერაყს არაბულ სახელმწიფოდ არ იცნობს, ეს იმიტომ ხდება, რომ ერაყი უკანასკნელ დრომდე ინგლისის სამანდატო ტერიტორიას წარმოადგენდა; ახლა კი ის თუმცა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ითვლება, მაგრამ მხოლოდ ნომინალურად, ნამდვილად კი ის ინგლისისვე უმნიშვნელო ვასალს წარმოადგენს. ერაყს საჰხრეთით აკრავს სირია (საფრანგეთის კოლონია), ეს ქვეყანაც არაბულია, როგორც მცხოვრებთა უმრავლესობით ისე გაბატონებული ენით. არა თუ ერაყსა და სირიაში, თვით პალესტინაშიაც მცხოვრებთა უმრავლესობა არაბებისაგან შესდგება.

საშუალო საუკუნეების შესახებ დამატებით ის ითქმის, რომ დასახელებულ ქვეყნებში, არაბული უმრავლესობის და გაბატონებული არაბული ენის გარდა, ძლიერი არაბული სახელმწიფო არსებობდა. ამ ძლიერი არაბული სახელმწიფოს დამაარსებლად იმად-ჯა-დინ ზენგის თვლიან, რომელსაც 1127 წელს პირველად მოსუ-

ლის ათაბაგად ვხედავთ. ოცი წლის მმართველობის განმავლობაში (1127—1146) ზენგიმ თითქმის მთელ მესოპოტამიასა და სირიას მოუყარა თავი. ზენგის სიკვდილის შემდეგ მისი დანაწილებული სამთავრო არა თუ კვლავ შეაერთა, არამედ გააფართოვა კიდეც და გაძლიერა მისმა შვილმა, რომელიც მსოფლიო ისტორიაში ნურ-ედ-დინის სახელითაა ცნობილი. მის დროს სახელმწიფოს ცენტრად უკვე დამასკო შეიქნა. ნურ-ედ-დინის დავალებით მისმა სარდალმა შირკუმ ეგვიპტეც შესძინა ახალ სახელმწიფოს. შირკუს სიკვდილის შემდეგ ეგვიპტის მმართველობა და სარდლობა მისი ძმის ეიუბის შვილზე სალაჰ-ედ-დინზე გადავიდა. დასავლეთის მწერლობა მას „სალადინის“ სახელით იცნობს. უკანასკნელმა ეგვიპტეს ნუბია და იამანიც ე. ი. საკუთრივ არაბეთიც მიუმატა. სალადინმა, ამგვარად, იმდენად გაზარდა თავისი ძალა, რომ ის ნურ-ედ-დინის რწმუნებულის და ხელქვეითის როლში ვეღარ ეტეოდა და დამოუკიდებლად ეჭირა თავი. ნურედინის სიკვდილის შემდეგ (1174 წ.) მთელი მისი სამთავრო ეგვიპტითურთ ზემოხსენებული სალადინის ხელში გადავიდა.

ზენგი, ნურედინი და სალადინი, როგორც ვიცით, ჯვაროსნების მთავარ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდენ. სალადინმა დასცა ლახვარი, როგორც ვიცით, ჯვაროსნების ბატონობას წინააზიაში და თვით იერუსალიმიც წაართვა მათ. სალადინის სიკვდილის შემდეგ (1193 წ.) მისი სამთავრო მის შვილებსა და ძმას შორის იქმნა განაწილებული, მაგრამ ხანგრძლივი ომების შემდეგ სალადინის ძმამ ელ-მელიქ-ელ-ადილმა ისევ აღადგინა სახელმწიფოს მთლიანობა, რომელიც მის სიკვდილამდე 1218 წ. იქმნა დაცული.

ამგვარად ჩვენ ვხედავთ, რომ წმინდა არაბული პროვინციები, როგორც ერაყი და სირია, თითქმის ასი წლის განმავლობაში გაერთიანებულ სახელმწიფოს წარმოადგენდენ (1127—1218 წ-მდე), რომლის ცენტრი დამასკო იყო. ეჭვს გარეშეა, რომ რუსთაველის არაბეთი სწორედ ეს სახელმწიფოა; შესაძლებელია მისი როსტევანის პროტოტიპი ან სალადინი ან ელ-ადილია, მით უფრო რომ არა თუ ისლამურ მწერლობაში, არამედ ქრისტიანულ ისტორიაშიც სალადინი ხოტბის სტილით იხსენიება მუდამ.

დასასრულ, მკითხველს უნდა მოვაგონოთ, რომ ზემოთდასახელებული პროვინციების ნაწილებს, განსაკუთრებით ერაყს, ძველი ისტორიაც „არაბეთად“ იცნობს[1].

---

[1]) რადგან აქ არაბები მუდამ ცხოვრობდენ და არაბული სახელმწიფოებიც არსებობდა.

თვით „ვეფხისტყაოსან შიაც“ შეგვიძლია არაპირდაპირი საბუთები ვპოვოთ იმისა, თუ რომელ არაბეთზეა იქ ლაპარაკი. მგოსანი მოგვითხრობს, რომ ავთანდილს

102. ქალაქი ჰქონდა მაგარი საზაროდ სანაპიროსა,
გარე კლდე იყო, გიამბობ, ზღუდესა უქვითკიროსა.

საყურადღებოა აგრეთვე დირექტივა, რომელსაც ავთანდილი აძლევს შერმადინს:

114. სანაპირო გაამაგრე, მტერმან ახლოს არ იბარგა.

დავაკვირდეთ მგოსნის ცნობების შინაარსს. ავთანდილს აქვს საკუთარი მაგარი ქალაქი. ეს ქალაქი საზაროდ იხმარება. ის სანაპიროზე მდებარეობს, სანაპიროს გამაგრება სჭირია, რადგან აქ შესაძლოა „მტერთა ბარგვა“. სანაპირო აქ უსათუოდ ზღვის სანაპიროს ნიშნავს და სანაპიროზე მტრის ბარგვა უსათუოდ ე. წ. „დესანტს“ ნიშნავს. ასეთი „ბარგვის“ ანუ დესანტის შესაკავებლად „ზარობის“ ანუ შიშიანობის დროს ავთანდილს ებარა ზღვის პირზე მდებარე ქალაქი. ასეთ მაგარ ქალაქთა რიცხვი მართლაც მრავალი იყო სირიის სანაპიროზე, როგორც, მაგალითად, აკკინი, ასკალონი, ტიროსი, ლაოდიკეა, ტრიპოლი და სხვა. რა დიდ როლს თამაშობდენ ეს „საზარო“ ქალაქები, ეს იქიდან ჩანს, რომ ჯვაროსნების შეერთებული ძალების განადგურების შემდეგ პალესტინაში სალადინის მიერ უკანასკნელმა ერთ ასეთ „საზარო“ ქალაქს ტიროსს, რომელსაც კონრად მონტფერრატელი იცავდა, ვერაფერი ვერ მოუხერხა.

დასასრულ, ორიოდე სიტყვა ავთანდილის როლის შესახებ როსტევანის სამეფოში. მგოსანი მას ჩვეულებრივ როსტევანის სპასალარს უხმობს, მაგრამ ამ სპასალარს ჰყავს საკუთარი ჯარი და ქვეშევრდომები. აქვს საკუთარი საბრძანებელი, რომელსაც ის საკუთარ სამეფოდ თვლის („მე დამახვედროთ სამეფო მტერთაგან დაულეწელი“), პატრონს ანუ „შეფეს“ ის ძღვენსა სძღვნის და მსახურებს, როგორც პირადად ისე თავისი ჯარით. მაშასადამე, ავთანდილი მარტო სპასალარი კი არა, არამედ წარჩინებული ერისთავია, რომელიც ამავე დროს თავისი პატრონის შეიარაღებულ ძალებს სარდლობს. ავთანდილი, მაშასადამე, ისეთივე ერისთავი ანუ ათაბაგი და სარდალია, როგორებიც იყვნენ თვით ზენგი, შირკუ, ეიუბი და სალადინი თავის დროზე. ხალიფატისა და, მერმე, სულთანატის დაქვეითების შემდეგ არაბების უზარმაზარი იმპერია ასეთ ათაბაგებს შორის იყო განაწილებული. ათაბაგთა შორის გამუდმებული ომი

სწარმოებდა. ასეთი ომების დროს ხშირად ხდებოდა, რომ რომელი-მე ძლიერი ათაბაგი რამდენიმე საათაბაგოს იგდებდა ხელში. მორ-ჩილება ჩვეულებრივ მანამდე გრძელდებოდა, სანამ მთავარს რეალუ-რი ძალა შესწევდა მის დასაცავად; შემდეგ მთელი სამთავრო ან მისი ნაწილები სხვა ძლიერი ათაბაგის ხელში გადადიოდა. მეკვიდ-რეებზე ძალაუფლების გადაცემას ასეთი მთავრები თუმცა მუდამ ლამობდენ, მაგრამ ძნელად ახერხებდენ.

ხატაეთი

ისტორიაში ეს ქვეყანა „ხათაიას“ „ხიტაის“ ან „ხიტანის“ სახელებითაა ცნობილი. იგი ჩრდილოეთ ჩინეთს აღნიშნავს. ერთ-ერთი ამ სახელიდანაა წარმოებული რუსული სახელი „კიტაი“, რომელიც მთელ ჩინეთს აღნიშნავს. რუსთაველი ხატაეთს ცალკე იცნობს და ჩინს (ჩინეთს) ცალკე. სახელი ჩინი თვით ჩინური „ტზინ“-იდანაა წარმოებული და სამხრეთ ჩინეთს აღნიშნავდა.

ხატაეთის სამეფოს დაარსებას პარკერი ჩინური წყაროების მიხედვით 916 წელს აკუთვნებს. მისი აზრით ეს სახელმწიფო ამ შემდეგი პროვინციებიდან შესდგებოდა: ჩჟილი, შენსი, შანდური, ხენანი (ნაწილობრივ), მონგოლია, და მანჯურია. ჩვენის აზრით, ამ სიას სინძიანიც უნდა დაემატოს, რომელიც დღემდისაც თურქული ტომებითაა დასახლებული. ხატაეთის სატახტო ქალაქს დღევანდელი პეკინი წარმოადგენდა. სამხრეთ ჩინეთი ამ დროს ე. წ. სუნის დინასტიის გამგეობის ქვეშ იმყოფებოდა.

ძველი წარსული ხატაეთისა ჩინეთის ისტორიაში შედის. ახლო აღმოსავლეთის ისტორია იმდენად იცნობს მას, რამდენადაც იგი სელჯუკების სამეფოს ,ნანგრევებზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ ცხოვრებაში იღებდა მონაწილეობას. ეს კი მას შემდეგ მოხდა, რაც საკუთრივ ხატაეთი თათრების ძლიერმა ტომმა ნიუჩებმა, ანუ ჩინურის წყაროებით ნიუ-ჯენებმა, დაიპყრეს, რაც პარკერის სიტყვით 1115 წელს უნდა მომხდარიყო.

ამის შემდეგ ხატაეთის მეფის ერთმა ახლო ნათესავმა ტუში-ტალგუნმა ხატაეთის ერთ შორეულ პროვინციას შეაფარა თავი შენსის დასავლეთით. აქაურმა ერისთავებმა მორჩილებაც გამოუცხადეს მას და ჯარებიც მოჰგვარეს. მათი შემწეობით ტუში-ტალგუნმა დაიპყრო კაშგარი, იერკენდი და ხოტანი, თურქისტანი და უიღურთა სამთავრო უომრად დამორჩილდენ მას. ამგვარად დაარსდა თითქოს ხატაელთა ახალი სამეფო. მაჰმადიანი მწერლები ყარა-ხატაის უწოდებენ ამ სამეფოს ხშირად. სხვები კი ძველებურად ხატაეთს. შემდეგში ხატაეთის საზღვრები კიდევ უფრო გაფართოვდა. ესენი გობიდან ამუ-დარიამდე და ჰინდუკუშის აღმოსავლეთ კალთებიდან პატარა ალტაის დასავლეთ კალთებამდე აწევდენ. ეს უზარმაზარი ქვეყანა შეიცავდა, მაშასადამე, როგორც რუსულს ისე ჩინურს თურქისტანს, რომელიც ინდოეთს საზღვრავს. რუსთაველის მიერ მოხსე-

ნებული ომები ინდოსტანის სამეფოსა და ხატაეთს შორის სულ ადვილი წარმოსადგენია. გარდა ამისა, აქ დასახელებული საზღვრების გარეშე, 1222 წელს კიდევ დაარსდა ერთი ხატაური სამთავრო ქირმანში, რომლის არსებობამ საკმაოდ დიდ ხანს გასტანა.

ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტს ხატაეთის ისტორიაში მელიქშას შვილ სინჯართან შეჯახება წარმოადგენს, რომელიც ამ დროს რუსულ თურქისტანს და მის მოსაზღვრე ქვეყნებს ფლობდა. სინჯარი ასი ათასი კაცით გამოეგება ტუში-ტალგუნს, მაგრამ სასტიკად დამარცხდა. შემდეგში ხატაელების მიერ აყრილმა ნომადებმა ხელახლა დაამარცხეს ის, დაატყვევეს და საბოლოოდ დააქციეს მისი საბრძანებელი. ამიერიდან ხატაეთის და ხვარაზმის ისტორია მჭიდროდ დაკავშირებული მიმდინარეობს სინქრონიულად, ამიტომ აქვე შევეხებით ხვარაზმსაც.

ხვარაზმი

ხვარაზმს ანუ ხივას ამ დროს ერისთავი ატზოზი განაგებდა. ეს ატზოზი ნუშტეკინ-ტაპრას შვილისშვილი იყო, რომელიც მელიქ-შაჰმა დასვა აქ ერისთავად. სანამ სინჯარს ხატაელების რისხვა დაატყდებოდა თავს ატზოზი მის მორჩილებაში იყო, შემდეგ კი განცალკევდა. სინჯარის სამთავროს განადგურების შემდეგ ხატაელების რისხვა ახლა ამ ახალ სამეფოს დაატყდა თავს. ხივასათვის ეს ომი მეტად სამძიმო იყო. ატზოზი დამარცხდა და მოხარკედ გაუხდა ხატაელებს (30 ათასი ოქრო უნდა ეძლია წლიურად).

ატზოზის მემკვიდრე ილ-არსლანი ხელახლა შეეცადა ხატაელებისგან დამოკიდებულების მოშორებას, ერთ დროს ბუხარაც იგდო ხელთ, მაგრამ ბოლოს მაინც დამარცხდა. 1164 წელს ილ-არსლანმა კიდევ ერთხელ სცადა გასწორებოდა ხატაელებს და კიდევ დამარცხდა. ილ-არსლანის სიკვდილს ხანგრძლივი ომი მოჰყვა მის მემკვიდრეებს, თაყაშსა და სულთან-შაჰს, შორის. ერთმა სელჯუკები მოიშველია, მეორემ ხატაელები, რომელთაც თაყაში ხარკის უფრო პირნათლად გადახდას შეჰპირდა. ხატაელების შემწეობით თაყაშმა დაამარცხა სულთან-შაჰი და მისი მოკავშირე სელჯუკები და შემდეგ მათი სამფლობელოც იგდო ხელში. შემდეგში მან ტოღრულ III-ის სამშობლოც დაიპყრო და მიისაკუთრა. საერთოდ თაყაშის პოლიტიკა იქით იყო მიმართული, რომ ხატაელებთან კარგი განწყობილება ჰქონოდა. სამაგიეროდ იგი სინჯარის სახელმწიფოს მემკვიდრეების წინააღმდეგ მუდმივ დაპყრობის პოლიტიკას აწარმოებდა. ტოღრულ მესამის სამეფოს შეერთების შემდეგ ხვარაზმის საზღვრები უკვე ინდოეთს, ევფრატს, სპარსეთის ზღვასა და ვოლგას აღწევდენ. თაყაშის მემკვიდრეს მაჰმადს მეორე ძლიერ ძალასთან, გორის სამეფოსთან, უხდება ბრძოლა. როგორც ქვეკეთ დავინახავთ (იხ. ინდოეთი), ხატაელების დახმარებით ის გორის ძლიერ სამეფოსაც უღებს ბოლოს.

ამ ხელახალი გაძლიერების შემდეგ უკვე იცვლება ხვარაზმის მშვიდობიანი პოლიტიკა ხატაეთის წინააღმდეგ. ის უკავშირდება ხატაეთის მთავრის ჩილუკუს სიძეს და ჯარების უფროსს გუშლუგს, რომელიც ჩინგიზ-ხანმა განდევნა თავისი საბრძანებლიდან და რომელმაც ჩილუკუს შეაფარა თავი. შეუკავშირდა აგრეთვე სამარყანდის ერისთავს ოტსმანს. სამთა კავშირმა გადასწყვიტა ერთდროულად იერიშის მიტანა ხატაეთზე. ამისათვის გუშლუგი ძველ სამფლობე-

ლოში გაემგზავრა ჯარის მოსაწვევად. 1209 წელს მაჰმად ხვარაზმელი შეესია ხატაეთს. ბუხარამ და სამარყანდმა სისხლდაუღვრელად გაუღეს მას კარი. ჩილუკუმ გააგება მას ჯარი სარდალ ტაიანკუს წინამძღოლობით; ამ დროს გუშლუგიც შემოესია ხატაეთს, დაამარცხა გორ-ხანის ჯარი და აიღო უზკენდი. ამის შემდეგ თვით ჩილუკუ გაეგება მას და სასტიკად დაამარცხა. სამაგიეროდ მაჰმადმა დაამარცხა ხატაელების მთავარი ძალები და თვით სარდალი ტაიანკუც წაიყვანა ტყვედ. მაჰმადი ისე გაათამამა ამ გამარჯვებამ, რომ ის ამის შემდეგ „მეორე ალექსანდრეს“ (მაკედონელს) უწოდებდა თავს. გუშლუგის დამარცხების შემდეგ ჩილუკუმ სამარყანდს მიაშურა და შემოარტყა ალყა, მაგრამ ტაიანკუს დამარცხების შემდეგ მაჰმადმაც აქეთ მიაშურა. ხატაელები იძულებული შეიქმნენ ალყა მოეხსნათ სამარყანდისათვის და უკან დაეხიათ. მაჰმადი უკან გაჰყვა მათ. ორი უზარმაზარი ლაშქარი მინაკენდის ახლო შეიყარნენ 1213 წელს. ბრძოლა გადაუჭრელი დარჩა. მიუხედავად ამისა უკან დახევა გორ-ხანს მოუხდა, რადგან გუშლუგმა ხელახლა იწყო მის ზურგს უკან მოქმედება, რისი შედეგიც აჯანყება და ჩილუკუს დატყვევება იყო.

ხვარაზმის ძალა ამ გამარჯვების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა. ცერცეტსა და ამპარტავან მაჰმადს ამ დროს თავის ბადალი ძალა ქვეყანაზე აღარ ეგულებოდა. ერთად-ერთი მისი ზრუნვა ამ დროს ბაღდადის ხელში ჩაგდება და ურჩი ხალიფა ნაზირის დასჯა იყო, რომელიც თავის დროზე გორელ გიათ-ედ-დინს აჭეზებდა მაჰმადის წინააღმდეგ საომრად და ამ დროს კი ჩინგიზ-ხანთან აწარმოებდა ამავე საგანზე მიწერ-მოწერას. მაჰმადმა გადაწყვიტა ნაზირის დასჯა და ბაღდადის აღება და გაემართა კიდეც დასავლეთისაკენ, მაგრამ სასტიკმა ზამთარმა ხელი შეუშალა ლაშქრობას და მაჰმადი იძულებული შეიქმნა უკან დაბრუნებულიყო. ბაღდადის ლაშქრობა ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული, როდესაც მაჰმადს ოტრარის ერისთავისგან ამბავი მოუვიდა, ჩინგიზის მზვერავები დავიჭირე და რა უყო მათო. ნამდვილად კი აქ 490 ვაჭარზე იყო ლაპარაკი. მაჰმადმა ბრძანება გასცა ეწამებინათ ისინი. ამაზე ჩინგიზმა ოტრარის ერისთავის გაცემა მოსთხოვა მაჰმადს. უკანასკნელმა უარი თქვა. ეს გახდა ომის მიზეზი ხვარაზმსა და მონგოლეთს შორის. მაჰმადს დიდი იმედი ჰქონდა გამარჯვებისა, მაგრამ მწარედ სცდებოდა. ჩინგიზმა განსაცვიფრებელი სისწრაფით აიღო ხვარაზმის ციხეები, შემუსრა ხვარაზმის მთავარი ძალები, დააქცია ბუხარა და შემდეგ ნიაღვარივით მოეღო ხვარაზმის უზარმაზარ სამეფოს.

„ხვარაზმელი ალექსანდრე“ ამ დროს თავზარდაცემული გარბოდა დასავლეთისკენ და თავშესაფარ ალაგს ეძებდა. ჩინგიზმა ცალკე რაზმი გამოჰყო (40 ათასი ცხენოსანი) მაჰმადის სადევნად და დასაჭერად. ეს რაზმი კვალ-და-კვალ მისდევდა მას. კასპიის ზღვის ერთ პატარა კუნძულზე მაზანდერანში 1221 წელს მაჰმადმა დალია სული. მისმა მდევარმა რაზმმა გამოიარა საქართველო, სასტიკად დაამარცხა წინ გამოგებებული ქართული ჯარი და შემდეგ გადავიდა რუსეთში. მდინარე კალკას პირზე ამავე ჯარმა დაამარცხა მწვავე ბრძოლის შემდეგ შეერთებული სამხრეთ რუსეთის მთავრების ძალები (რომელთა შორის უმთავრეს როლს მსტისლავ უდალოი თამაშობდა თავისი ჯარით) და შემდეგ ამ ჩრდილოეთის გზით უკანვე დაბრუნდა მონგოლეთში. ოგოტაის დროს იწყება უკვე დასავლეთის სისტემატური დამორჩილება; ახალი ტალღა მონგოლებისა, რომელიც ხანგრძლივად იკიდებს აქ ფეხს, საქართველოს დაახლოებით 1238—40 წელს აღწევს.

ინდოეთი

ნურც ამ სახელის შინაარსს წარმოიდგენს მკითხველი გეოგრაფიულად, ე. ი. როგორც ინდოსტანის ნახევარკუნძულს. უკანასკნელს არასოდეს არ ჰქონია მთლიანი ისტორია, სანამ იგი ინგლისელების ხელში არ მოექცა. რუსთაველის ხანაში ინდოსტანის სახელს ინდოეთის ნაწილი ატარებდა, რომელიც მუსლიმების მიერ იყო დაპყრობილი და მათ ხელში იმყოფებოდა. ინდოეთის დაპყრობა უმთავრესად ღაზნელების და გორელების მიერ მოხდა. რუსთაველის დროს აღარც ღაზნა წარმოადგენდა თვალსაჩინო დამოუკიდებელ ძალას და აღარც გორი. მაგრამ გორელი მმართველები მაინც შერჩენ ინდოსტანს, რომელიც გორის დამხობამდე ხვარაზმელების მიერ გორის პროვინციად ითვლებოდა.

როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, სინჯარის დამარცხებას ჯერ ხატაელებისა და შემდეგ ღუზების მიერ მისი უზარმაზარი სამფლობელოს დანგრევა მოჰყვა შედეგად. ნანგრევებზე სამი, ფაქტიურად დამოუკიდებელი, სახელმწიფოს დაარსება მოჰყვა. ესენი იყვნენ: 1) ხვარაზმი, რომელიც წინათ სინჯარის ვასალურ სამთავროდ ითვლებოდა—რასაკვირველია სხვა გეოგრაფიულ ფარგლებში, 2) გორი—აგრეთვე სხვა გეოგრაფიულ ფარგლებში და 3) ხატაეთი, რომლის საზღვრები გობიდან ამუ-დარიამდე აღწევდა. ხვარაზმზე და ხატაეთზე ზემოთ გვქონდა საუბარი, ახლა გორს მივმართოთ, რომელმაც, ასე ვთქვათ, შექმნა ინდოსტანის სამეფო.

სინჯარის სამთავროს დანგრევის და ხვარაზმის განცალკევების დროს გორი, რომლის ძირითადი ტერიტორია დღევანდელი ავღანისტანის ტერიტორიას უდრის, ღაზნელების სავასალო სამთავროს წარმოადგენდა. ღაზნელი ბაჰრამ-მახი კი თავის მხრივ სინჯარის ვასალად თვლიდა თავს. 1148 წელს გორელები დაესხენ თავს ღაზნას, დაამარცხეს ბაჰრამი, აიღეს სატახტო ქალაქი და დაარბიეს. ბაჰრამმა თავის ინდოეთის პროვინციას შეაფარა თავი, დააგროვა აქ ჯარი და განდევნა გორელები. მაგრამ 1150 წელს ესენი ხელახლა დაესხენ თავს ღაზნას, აიღეს, დასწვეს და სასტიკად ააოხრეს იგი. ალლა-ედ-დინს, რომელმაც ღაზნა აიღო და დასწვა, მაჰმადიანი ისტორიკოსები „ქვეყნის დამქცევს“ უწოდებენ. შემდეგში ამ „ქვეყნის დამქცევმა“ სეჯესტანის და თოხარისტანის ნაწილებიც მიიკუთვნა: თავისი ძმისწულები გიათ-ედ-დინი და მოის-ედ-დინ-ი გორის

მბრძანებლებს დაჭერილები ჰყავდა. მისი სიკვდილის შემდეგ მისმა შვილმა სეიფ-ედ-დინმა გაათავისუფლა ისინი. 1163 წელს სეიფი მოკლულ იქმნა, და მმართველობა მის ბიძაშვილს გიათ-ედ-დინზე გადავიდა. სწორედ მის დროს ეკუთვნის გორის გაძლიერება და ინდოეთში ფართოდ მოკალათება. ორი წლის განძავლობაში (1174-1176) გაიწმინდა ქაბულიდან ინდოეთში გადასავალი გზა და შემდეგ შეესია თვით ფენჯაბს. 1176 წლის დამლევს მან აიღო მალტანი და ურა. 1187 წელს ხანგრძლივი ალყის შემდეგ ლაჰორიც ნებდება გორელებს. 1192 წელს გორელები ამარცხებენ თანესკარასთან აჯმირის და დელის რაჯების შეერთებულ ძალებს, რის შემდეგ განგის მთელი ვაკე მათ უვარდება ხელში. 1193 წელს გიათის სარდალი კოტბ-ედ-დინ-ი იღებს დელის, რომელიც ამის შემდეგ თითქმის ასი წლის განმავლობაში მაჰმადიანური ინდოსტანის მთავარი ქალაქის როლს თამაშობს. 1194 წელს გიათის ძმა მოისი იპყრობს კანოჯას და ბენარესს. უკანასკნელი ბრაჰმანების წმინდა ქალაქად ითვლებოდა და ძალიან მდიდარი იყო შენაწირი განძეულობით. ყველა ეს შეწირულებები გორელებს ერგო, რომელნიც ქრისტიან ჯვაროსნებივით ძალიან ეტანებოდენ დავლას, თუმცა ოფიციალურად მაჰმადის სახელით იბრძოდენ.

მაჰმადიანების ინდოეთში სწრაფი და ძლევამოსილი მსვლელობა ურიცხვ მოხალისეთა კადრებს გვრიდა მუსლიმთა ჯარებს. ხშირად მთელი ტომები მიდიოდენ სალაშქროდ. ერთი ასეთი ძალიან მრავალრიცხოვანი და ძლიერი ტომი—კალჯი—მთლად აიყარა და მაჰმად იბნ-ბახტიარის წინამძღოლობით საკუთრივ შეესია ინდოეთს 1194 წელს, დაიპყრო ბიჰარი და შემდეგ ბენგალიაში გადავიდა, რომელსაც იგი ამიერიდან დამოუკიდებლად განაგებდა. ამავე დროს კოტბ-ედ-დინმა დაიპყრო გვალიორი და მიაღწია ნახარაკალას. აქედან იწყება მაჰმადიანთა წინსვლის შეჩერება ინდოეთში. ეს იმითაა გამოწვეული, რომ თვით გიათ-ედ-დინს უხდება მთელის ძალმოკრებით ხვარაზმთან ბრძოლა.

სანამ ხვარაზმელი თაყაში მედიისა და ტრანსოქსანიის ლაშქრობებში იყო გართული, გიათ-ედ-დინი კი ინდოეთისაში, ეს ორი სახელმწიფო ძალაუნებურად ჰგუობდა ერთმანეთს. შემდეგ კი დაიწყო შეხლა და თავდასხმები. 1204 წელს გიათმა ისარგებლა ხვარაზმელი თაყაშის სიკვდილით და შეესია ხვარაზმს, აიღო მერვი, რახსი, ტუსი და ნიშაპური, მაგრამ მეორე წელს თაყაშის მემკვიდრემ მაჰმადმა უკან დაიბრუნა დაკარგული. გიათის ძმამ და მემკვიდრემ განაგრძო ბრძოლა და ხელახლა შეესია ხვარაზმს. მაჰმად ხვა-

რაზმელმა ხატაელები მოიშველია, თვითონ კი მთავარ ქალაქამდე დაიხია უკან. გრძელი და გაჭირვებული ლაშქრობით დაქანცული ჯარი დამარცხდა და იძულებული გახდა უკან დაეხია. ბალხსა და მერვს შუა დამარცხებული ჯარი ხატაელებს წააწყდა, რომლებმაც მას სავსებით მოუღეს ბოლო. 1206 წელს მოისი მოკლეს, რის შემდეგ მისი სამთავრო დანაწილდა. კოტბ-ედ-დინმა ინდოსტანის სულთანად გამოაცხადა თავი. ღაზნაში ილდიზი დამკვიდრდა, გერატში – ჰუსეინი.

პირველ ორ სამთავროს მოუღეს ბოლო ხვარაზმელებმა, რომელთაც ხელთ იგდეს მთელი ყოფილი გორის სამფლობელო. ინდოსტანის სამეფომ კი კოტბ-ედ დინის მეთაურობით განაგრძო დამოუკიდებელი არსებობა. კოტბ-ედ-დინის სიკვდილის შემდეგ აქაც დაიწყო არეულობა და ემირებს შორის ბრძოლა. მაგრამ 1210 წელს ალტიტმიშმა ხელახლა აღადგინა სახელმწიფოს მთლიანობა. ჩვენის აზრით რუსთაველის ფარსადანის პროტოტიპი ეს ალტიტმიში უნდა იყოს. მის მიერ მოყვანილი ცნობები ინდოსტანის სამეფოს შესახებ ალტიტმიშის მიერ გაერთიანებული ინდოსტანიდან უნდა იყოს გადმოღებული. მგოსანი გვაუწყებს:

236. ინდოთა შვიდთა მეფეთა ყოვლი კაცი ხართ მკნობელი
ექვსი სამეფო ფარსადანს ჰქონდა, თვით იყო მპყრობელი.
237. მამა ჩემი ჯდა მეშვიდე, მეფე მებრძოლთა მზარავი,
სარიდან ერქვა სახელი, მტერთა სრვად დაუზარავი.

ჩვენ დავინახეთ ზემოთ, როგორ დანაწილდა ცალ-ცალკე ემირატებად კოტბ-ედ-დინის სამთავრო და როგორ მოუყარა მათ ხელახლა თავი ალტიტმიშმა. „მაგრამ, გვაუწყებს მ ი უ ლ ე რ ი, ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მისი და მისი მემკვიდრეების მბრძანებლობა მაინც-და-მაინც განუსაზღვრელი ყოფილიყოს. ცალ-ცალკე პროვინციები, რომელთაგანაც ინდოსტანის იმპერია შედგებოდა, საკუთარი თურქული ან ავღანური მთავრების გამგებლობის ქვეშ იმყოფებოდენ, რომელნიც სასახლის სარდლებთან ერთად ერთგვარ სამხედრო არისტოკრატიას წარმოადგენდენ, მუდამ მზას სუსტი მმართველის ჩამოსაგდებად, ან განაპირა პროვინციებში განსაცალკევებლად“.

მაშასადამე, რუსეთის ისტორიიდან აღებული ანალოგია რომ ვიხმარო, ინდოსტანის მეფე დიდ მთავარს წარმოადგენდა, რომელსაც სხვა მთავრები ემორჩილებოდენ. რუსთაველის სიტყვით ინდოსტანი შვიდ ასეთ სამთავროდ იყო დანაწილებული, რომელთაგან ექვსი ფარსადანს ემორჩილებოდა, მეშვიდე კი ტარიელის საუფლის-

წულო, სავსებით დამოუკიდებელი, ნებით შეუერთდა ფარსადახის სუვერენიტეტის ქვეშ მყოფ სამთავროთა რიცხვს. ყველა ამ სამთავროებს მ ი უ ლ ე რ ი ასე ჩამოვვითვლის: ფენჯაბი, სინდი, გუჯერატი, დელი, გვალიორი და მალვა, ბიჰარი და ბენგალია. როგორც ზემოთ დავინახეთ, ყველა ეს პროვინცია ბენგალიის გარდა გორელების მიერ იყო დაპყრობილი, სახელდობრ გიათ-ედ-დინის და მისი სარდლის კოტბ-ედ-დინის მიერ. ადვილი წარმოსადგენია ამიტომ, რომ ესენი თავის დროზე კოტბ-ედ-დინს ემორჩილებოდენ, შემდეგ კი ალტიტმიშის ხელში მოექცენ. რაც შეეხება ბენგალიას, იგი, როგორც ზემოთ დავინახეთ, თურქების დიდმა და ძლიერმა ტომმა კალჯებმა დაიპყრეს მაჰმად იბნ-ბახტიარის წინამძღოლობით, რომელიც დამოუკიდებლად განაგებდა მას. ადვილი წარმოსადგენია, მაშასადამე, რომ ის მეშვიდე დამოუკიდებელი ინდოეთის სამეფო, რომელსაც რუსთაველი სარიდანის სამეფოდ გვაცნობს, ბენგალიას უდრის. მ ი უ ლ ე რ ი გვაუწყებს, რომ სულ ბოლოს ალტიტმიშმა ბენგალიაც შემოიერთა. რუსთაველიც ადასტურებს ამ ფაქტს, მხოლოდ აღნიშნავს, რომ შეერთება ნებაყოფლობით მოხდა. მაშასადამე, რუსთაველის გაკვრითი ცნობები 1) ინდოსტანის სულთანატზე. 2) მის შვიდ ცალკე ემირატებად დანაწილებაზე, 3) ექვსი ამ ემირატთაგანის ერთი სახელმწიფოს ფარგლებში არსებობაზე და მეშვიდისა კი განცალკევებით არსებობაზე და 4) ყველა შვიდი ემირატის გაერთიანებაზე — უტყუარ ისტორიულ სინამდვილეს წარმოადგენს.

როგორ სუსტ ნიადაგზე იყო დამყარებული ეს ერთიანობა — მთლიანობა, ესეც მშვენივრად იცის რუსთაველმა. დასამტკიცებლად საკმაოა რუსთაველის მიერ აღწერილი ტარიელის საქციელი მოვიგონოთ. ტარიელმა მოუკლა მეფეს სასიძო, ჩაიკეტა თავისი ჯარით თავისსავე მაგარ ქალაქში და აქედან გაბა მკვახე მოლაპარაკება თავის „მბრძანებელთან" ისეთ სათუთ საკითხზე, როგორიც არის მემკვიდრეობა, ინდოეთის მბრძანებელმა კი საყვედურის მეტით ვერაფრით გასცა პასუხი აჯანყებულ ვასალს.

როგორ ეთანხმებიან ჩვენი ჰიპოთეზები ვეფხისტყაოსნის მარშრუტებს

მკითხველს უფლება აქვს ამ ისტორიული ჰიპოთეზების გარკვევის შემდეგ კითხვა დაგვისვას: როგორ ეთანხმებიან ეს ჰიპოთეზები გეოგრაფიულად იმ მარშრუტებს, რომლებსაც ჩვენ თვით ვეფხისტყაოსანში ვხვდებით. გეოგრაფია და ისტორია მგოსანს უსათუოდ შეთანხმებული ჰქონდა და, მაშასადამე, ესენი ჩვენს განმარტებებშიაც შეთანხმებულნი უნდა იყვნენ. ეს მთლად ასე არაა. ამისათვის საჭიროა, რომ შოთას გეოგრაფიული წარმოდგენები ისევე უახლოვდებოდენ ჩვენს დღევანდელ წარმოდგენებს, როგორც მისი ისტორიული ცნობები უახლოვდებიან ჩვენს ცოდნას. ეს კი ძნელი დასაშვებია, რადგან შოთას დროის და ჩვენი დროის კოსმოგრაფიულ წარმოდგენებს შორის უზარმაზარი ზღვარი დევს:

1) პირველ ყოვლისა მაშინდელი წარმოდგენა ქვეყნიერებაზე გეოცენტრული და არა ჰელიოცენტრული იყო;

2) შემდეგ, დედამიწის ფორმა ბრტყელი იყო და არა მრგვალი მაშინდელი წარმოდგენით (თუმცა არაბი გეოგრაფოსები და შეიძლება შოთაც დღევანდელ შეხედულებას უახლოვდებოდენ);

3) ამერიკისა და ავსტრალიის არსებობაზე ამ დროს წარმოდგენა არ ჰქონდათ;

4) კომპასი ჯერ კიდევ არ იყო აღმოჩენილი. ზღვაოსნობა მხოლოდ-და-მხოლოდ ნაპირებზე სწარმოებდა; ამიტომ არც ზღვების, არც ხმელეთის სივრცეზე და ფორმებზე სწორი წარმოდგენა არ ჰქონიათ.

მიუხედავად ყველა ამისა, ჩვენ მაინც ვცდით ზემოთ დასმული კითხვის გარკვევას. ამისათვის კი საჭიროა შემდეგი წინასწარი კითხვების გარკვევა:

1) სად მიჰყავდათ ინდოეთიდან ნესტანდარეჯანი, საიდან გაჩნდა ის ჯერ ტრაპიზონში და შემდეგ ვენეციაში?

2) რატომ ვხედავთ ჩვენ ტარიელს იმავე ტრაპიზონში და შემდეგ არაბეთში, რომელიც ამ დროს მესოპოტამიას, სირიასა და ეგვიპტეს შეიცავდა?

დავიწყოთ პირველი საკითხით.

ინდოეთიდან ხმელთაშუა ზღვაში მოსახვედრად ან სუეცის არხის გავლაა საჭირო, ან კიდევ მთელი აფრიკის შემოვლა. სუეცის არხის გავლა შეუძლებელი იყო, რადგან იგი არ არსებობდა. აფრიკის შემოვლა ნავით, ძნელი დასაშვებია, რომ მგოსანს თავში მოსვლოდეს. ამ სამართლიან შენიშვნებზე ჩვენ შემდეგი პასუხი შეგვიძ-

ლია მივსცეთ მკითხველს. სუეცის არხი, რასაკვირველია, არ არსებობდა ამ დროს, მაგრამ ძველად მის მაგიერობას ის არხი სწევდა, რომელიც მდინარე ნილოსს არაბეთის ზღვას უერთებდა. ეს არხი დარიოზის დროს იყო გაკეთებული, მაგრამ დროთა განმავლობაში ჩაიქცა. პტოლემეების დროს ის აღადგინეს, მაგრამ შემდეგ ის ხელახლა გაუქმდა. ისლამის გაბატონების შემდეგ ეგვიპტეში არაბებმა ის ხელახლა აღადგინეს. სალადინის ხანაში ეს არხი ეჭვს გარეშეა მოქმედებდა. ეს პირველი ვარიანტი ჩვენი პასუხისა.

მეორე ვარიანტი ასეთი შეიძლება იყოს. ბაღდადი საშუალო საუკუნეებში მსოფლიოს უდიდეს ცენტრს წარმოადგენდა. კრემერის აზრით ამ დროს ამ ცენტრში ორ მილიონამდე მცხოვრები ითვლებოდა. ამ ცენტრის სიდიადე იმას კი არ ემყარებოდა, რომ ბაღდადი ხალიფატის ცენტრი იყო, არამედ უმთავრესად იმას, რომ ის ინდოეთსა და დასავლეთს შორის არსებული ვაჭრობის ცენტრი იყო. ინდოეთიდან დაძრული საქონელი წყლის გზით აღწევდა ბაღდადს. ეს ქალაქი, როგორც ვიცით, მდინარე ტიგროსზე მდებარეობს, რომელზედაც მაშინდელი დროის საბარგო და საომარი გემებიც თავისუფლად დადიოდენ. სანამ ზღვას შეერთვოდეს ტიგროსი, ევფრატს ეურთდება. შეერთებულ ტიგროს-ევფრატზე აღმოცენდა ინდოეთის ვაჭრობის წყალობით ქალაქი ბასრა— მაშინდელი დროის ანტვერპენი, ე. ი. უდიდესი პორტი და საქონლის საწყობი. შეერთებული ტიგროსი და ევფრატი სპარსეთის ზღვაში ჩადის, რომელიც შემდეგ ინდოეთის ოკეანეს უერთდება. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ ნესტანდარეჯანი კიდობანში ჩასვეს და კიდობნითვე მიიყვანეს ზღვის პირამდე.

489. მათ კიდობანი მოიღეს, ეუბნეს არ აჯებითა,
მას შიგან ჩასვეს იგი მზე, ჰგავს, იქმნა დარაჯებითა.
490. ზღვათაკენ გავლნეს სარკმელნი, მაშინვე გაუჩინარდა.

შემდეგ ნესტანდარეჯანს ნავითვე მიმავალს ტრაპიზონის ახლო ვხედავთ. შემდეგ მას ვენეციაში ვხვდებით, სადაც იგი ფატმანის ყმებს უვარდება ხელში. ვენეციიდან გაქცეული, ბოლოს ნესტანდარეჯანი ქაჯეთში ანუ ესპანურ მავრეტანიაში ამოჰყოფს თავს. თუმცა პოეტი ამას არ გვაუწყებს, მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ნესტანდარეჯანი მამიდა მისმა დავარმა სწორედ ქაჯეთში გადაკარგა, სადაც ის გათხოვილი იყო და სადაც მას, მაშასადამე, ნათესავები ჰყავდა. გარდა იმისა, რომ დავარი ქაჯეთში იყო გათხოვილი, ამის საბუთებად შემდეგი ფაქტები შეგვიძლია დავასახელოთ.

1) დავარი თავის მხლებელ ქაჯებს ატანს ნესტანდარეჯანს („სახითა მით ქაჯებითა“);

2) შემთხვევით ვერ ავხსნით იმას, რომ ფატმანის სამშობლო ვენეციიდან გაქცეული ნესტანდარეჯანი, თუმცა მას ინდოეთიდან გატანებული მცველები აღარ ახლავს თან, მაინც ქაჯეთისაკენ იჭერს მიმართულებას, თუმცა მას სხვა ქვეყნებისკენაც ჰქონდა ხსნილი გზა;

3) არც ის შეიძლება შემთხვევით აიხსნას, რომ ქაჯები ასეთი პატივით იღებენ ნესტანდარეჯანს.

მაშასადამე, ნესტანდარეჯანი ინდოეთიდან ქაჯეთში ანუ ესპანურ მავრეტანიაში მიჰყავდათ. რაკი ინდოეთსა და ბაღდადს შორის ამ დროს უზარმაზარი მიმოსვლა არსებობდა წყლის გზით, ნესტანდარეჯანსა და მის მხლებლებს წყლითვე შეეძლოთ ემგზავრათ ბაღდადამდე და შეიძლება უფრო შორსაც. მდინარე ტიგროსის მიტოვების შემდეგ მგზავრები ხმელის გზით განაგრძობდენ გზას ტრაპიზონამდე, რომელიც, როგორც ვიცით, ამ დროს მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს წარმოადგენდა და ამასთანავე ბაღდადთან მჭიდროდ დაკავშირებულ საავაჭრო ცენტრს.

რაკი ტრაპიზონი ამასთანავე საზღვაო ქალაქი და გზა იყო „ნავთა მავალთა“, აქედან მგზავრები ისევე ნავით განაგრძობდენ გზას შემდეგი მსოფლიო სავაჭრო ცენტრისაკენ, როგორიც ამ დროის ვენეცია იყო. მკითხველს მოვაგონებთ, რომ ფრიდონი, თვით ტრაპიზონში კი არა, ტრაპიზონის ახლო ნადირობის დროს ქედიდან გადამყურე ჰხედავს ნავს. ეს ნავი ტრაპიზონიდან მიმავალი იყო და არა ტრაპიზონში მომავალი, თორემ ფრიდონი ადვილად მოსძებნიდა მას. ტრაპიზონიდან ნავს შეეძლო ხმელთაშუა ზღვითაც ემგზავრა და დუნაითაც, რომელზედაც ვენეციელებს, როგორც დავინახეთ, დიდი მიმოსვლა ჰქონდათ.

ვენეციიდან ნესტანდარეჯანის მცველებიც, ალბათ, ხმელის გზით ფიქრობდენ მგზავრობას, თორემ ესენი ისევე არ შეუხვევდენ ვენეციაში, როგორც არ შეუხვიეს ქაჯეთზე მოლაშქრე ტრაპიზონიდანვე წამოსულმა გმირებმა. ეს ხმელი გზა, როგორც დავინახეთ, ის ისტორიული გზა იყო, რომლითაც ჰანნიბალი შეესია იტალიას. ამ დროს ამ გზაზე უზარმაზარი საქონლის მოძრაობა არსებობდა.

დავუბრუნდეთ ახლა მეორე კითხვას. რატომ ვხვდებით ჩვენ ტარიელს იმავე ტრაპიზონში და შემდეგ არაბეთში (არაბეთი უდრის ამ დროს სირიას, მესოპოტამიას და ეგვიპტეს).

მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ტარიელი სულ უგზო-უკვლოდ არ დაიწყებდა სხვადასხვა ქვეყნებში ხეტიალს. ის, ალბათ, იმ ქვეყ-

ნების საპორტო ქალაქებში დაუწყებდა ნესტანდარეჯანს ძებნას, სადაც მისი აზრით ინდოეთიდან წამოსულ ნავს შეეძლო გაევლო. თუ გავიხსენებთ, რომ მთელი ამ დროის ზღვაოსნობა მხოლოდ-დამხოლოდ სანაპირო ზღვაოსნობა იყო, მაშინ ზემოთ დასახელებული ვარიანტების მიხედვით ტარიელის ტრაპიზონის სამეფოში და არაბეთში ყოფნაც გასაგები იქნება ჩვენთვის. თუ მგზავრობა ბაღდადის გზით მოხდებოდა, მაშინ ტარიელს ტრაპიზონსა და შავი ზღვის სხვა პორტებში უნდა ეძებნა ნესტანდარეჯანი. თუ მგზავრობა ალექსანდრიის ვარიანტით მოხდებოდა, მაშინ არაბეთის, ანუ ეგვიპტისა და სირიის პორტებში უნდა ეძებნა იგი. როგორც „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, ტარიელმა ორივე ვარიანტი სცადა და, როგორც ვიცით, მეორე მარშრუტზე წააწყდა კიდეც ნესტანდარეჯანის კვალს.

შევეხოთ ახლა სხვა, მგოსნის მიერ მოხსენებულ, მარშრუტებს და განვიხილოთ, როგორ ეთანხმებიან ისინი ჩვენს ისტორიულ ჰიპოთეზებს.

1) ტრაპიზონიდან მიმავალი ავთანდილი რამდენიმე ხნის მგზავრობის შემდეგ ზღვის პირას აწყდება ქარავანს. შეკითხვებიდან ირკვევა, ეს „მობაღდადე“ ვაჭრებია, რომელნიც ვენეციისკენ მიემგზავრებიან და ამასთანავე მაჰმადიანებია, რომელთაც „აროდეს უსვამთ მაჭარი“. ვაჭრები უხსნიან ავთანდილს, რომ ამ ადგილს მათ ჰპოვეს მეკობრეებისაგან გაძარცვული, ეგვიპტიდან მომავალი, გულწასული ვაჭარი. ყველა ეს კარგად ეხამება მულღაზანზარის ტრაპიზონობას. ტრაპიზონიდან წამოსული ავთანდილი იმ ადგილს ხვდება ბაღდადიდან ვენეციაში მიმავალ ვაჭრებს, სადაც ვენეციიდან და ალექსანდრიიდან ბაღდადში მიმავალი გზები იყრიან თავს. ეს ადგილი ანტიოქიის ახლო უნდა ვეძიოთ, რადგან აქ უახლოვდება ყველაზე უფრო ევფრატი ზღვას. ანტიოქია და მისი მიდამოები ამ დროს მუსლიმების ხელში არ იყო. ამით აიხსნება, ალბათ, რომ არაბ ავთანდილს მუსლიმი ვაჭრები მაჰმადიანებად ეცნობიან (მაჰმადიანი მაჰმადიანს მაჰმადიანურ ქვეყანაში რად უნდა გაეცნოს მაჰმადიანად?).

2) მგოსანი გვაუწყებს, რომ მისი გმირები მულღანზანზარიდან ზღვით მიემგზავრებიან ქაჯეთში. ტრაპიზონიდან ესპანიაში ზღვის გზით მგზავრობა ადვილი წარმოსადგენია.

3) ქაჯეთის დაპყრობის შემდეგ გმირები გულანშაროში ხმელის გზით მიემგზავრებიან; ნესტანდარეჯანიც ხმელის გზით მოხვდა გულანშაროდან ქაჯეთში, როგორც ვიცით. ვენეციიდან ესპანიაში ან ესპანიიდან ვენეციაში ხმელის გზით მოხვედრაც სულ ადვილი წარმოსადგენია. ადვილი წარმოსადგენია აგრეთვე, თუ რატომ სთავაზობენ გმირები ზღვათა მეფეს ქაჯეთის ციხეს (დღესაც ხომ ის

დღევანდელ ზღვათა მეფეს, ინგლისს, ეკუთვნის). როგორც დავინახეთ, ვენეციელებს თვითონაც ჰქონდათ ფაქტორიები ესპანიაში.

4) გულანშაროდან გმირები მულლაზანზარს ზღვით მიემგზავრებიან, მაგრამ მგოსანი დასძენს, რომ ერთ ადგილს ესენი ხმელეთზე გადადიან და ზღვის პირით განაგრძობენ მგზავრობას. ვენეციიდან ტრაპიზონამდე ადვილი წარმოსაგენია მგზავრობა ზღვით სმირნამდე, შემდეგ კი ხმელის გზით და ზღვის პირით ტრაპიზონამდე. ყველა ეს კარგად ეხამება სინამდვილესაც და ჩვენს თეორიებსაც. მიუხედავად ამისა, შესაძლებელია მგოსანს სულ სხვანაირად ჰქონოდეს წარმოდგენილი თავისი მარშრუტები.

რამდენიმე საჭირო შენიშვნა.

ისტორიული განხილვა მხოლოდ არაპირდაპირ და შემთხვევით შეჰხებია აქამდის „ვეფხისტყაოსანს“, სახელდობრ მხატვრული ილუსტრაციების მხრივ. რამდენადაც ისტორიულ რომანს ილუსტრაციები ახლავს თან, ისტორიული გაგება აუცილებელი ხდება, რადგან მხატვარს დროის, ადგილისა და წრის ინდივიდუალურ თვისებებთან აქვს საქმე, რომელთაც ის ვერ ასცდება.

„ვეფხისტყაოსანი“, როგორც ვიცით, დასურათებულია. აქ მკითხველი ჰპოებს ტარიელს, ნესტანდარეჯანს, ავთანდილს, ფატმანს, ფარსადანს, ქაჯებს და თვით ქაჯეთის ციხესაც. რაკი „ვეფხისტყაოსნის“ სუჟეტი მრავალი საუკუნითაა ჩვენგან დაშორებული, მოსალოდნელი იყო, რომ მხატვარი და გამომცემელი რამდენადმე მაინც ანგარიშს გაუწევდენ ამ გარემოებას და მთლად არ უარჰყოფდენ დროსა და ადგილს. საუბედუროდ ეს ელემენტარული მოსაზრებები სრულიად არ მოსვლიათ თავში არც მხატვარს, არც გამომცემლებს. ამიტომ ილუსტრაციები სავსებით ამახინჯებენ ტექსტს. როგორც ზემოთ დავინახეთ, რუსთაველი თავის მხატვრობაში იჩენს 1) **განსაცვიფრებელ უნივერსალიზმს** და 2) **კიდევ უფრო საკვირველ ინტერნაციონალიზმს**. მის ნაწარმოებში, როგორც დავინახეთ, მთელი მაშინ ცნობილი მსოფლიო არის ან დასახული ან მოხსენებული მაინც. მისი აზროვნება ინდოეთიდან, ჩინეთიდან და გობიდან გიბრალტარამდე სწვდება. მაშასადამე, ქვეყნების აღწერისა და გამოხატვის მხრივ **რუსთაველი უნივერსალისტია**.

გადავავლოთ ახლა თვალი მის მიერ აღწერილ ერებსა და პერსონაჟებს. რუსთაველი გვაცნობს თურქებს, არაბებს, ბერძნებს, მავრებს, იტალიელებს და სხვებს. მისი პერსონაჟებიდან ტარიელი—თურქია, ავთანდილი—სირიელი არაბი, ფრიდონი—კომნენების ჩამოშავალი ბერძენი, ფატმანი—ვენეციელი. **მგო-**

სანი ყველა ამ ინტერნაციონალურ ტიპს ერთნაირი სიყვარულით აგვიწერს. რა აცხია ამ უნივერსალიზმისა და ინტერნაციონალიზმისა ზ ი ჩ ი ს ილუსტრაციებს? სრულიად არაფერი; პირიქით, რამდენადაც რუსთაველი უნივერსალური და ინტერნაციონალურია, იმდენად პროვინციალურია „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები. ტარიელი, მაგალითად, ზოგან ოპერეტის გმირს გავს, ზოგან კი მაძიებელ აზნაურიშვილს. ფატმანი ზედგამოჭრილი „დესპინეა“. ავთანდილიც ვერ გაშორებია იმერელი კეთილშობილის მსგავსებას. შეადარე განსაკუთრებით სურათი „ფატმან ფერხთა მოეხვია...“ ამ სურათს რომ წარწერა გაუკეთო „სცენა ვალერიან გუნიას დრამიდან“, მგონია არავის არ გაუკვირდება.

„ვეფხისტყაოსანი“ დასურათებული კი არა, დამახინჯებულია დღევანდელი ილუსტრაციებით. ასეთ ილუსტრაციებს სჯობია სრულიად დაუსურათებლად გამოცემა „ვეფხისტყაოსნისა“. დაკვირვებულსა და მცოდნე მკითხველზე დაუსურათებელი ტექსტი უფრო დიდ შთაბეჭდილებას მოახდენს, ვიდრე ასე უხეიროდ დასურათებული. მხატვარი ჩვენის აზრით ორი მხრივ უნდა მიუდგეს ვეფხისტყაოსნის ილუსტრაციებს: 1) ადგილების მხრივ, რომელნიც მგოსანს ზედმიწევნითი სისწორით აქვს აწერილი და 2) პიროვნებების მხრივ, რომელთა ისტორიულ რეალობას ჩვენ ვერ ვცნობთ, მაგრამ კარგად ვგრძნობთ. ადგილების გამომხატველ სუჟეტებად უმთავრესად ჩვენ შემდეგნი მიგვაჩნია:

1) „ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია“ (1103). აქ უნდა იყოს მოყვანილი მსოფლიოს აუღებელი ციხის გიბრალტარის იმპოზანტური გამოხატულება და არა სვანური კოშკი;

2) „ჰგვანდეს ქალაქს, ვიახლენით, ცალკერძ აჩნდენ კლდეთა ნაღნი“ (498). აქ უნდა იყოს გამოხატული ძველი ტრაპიზონი თავის „კლდეთა ნაღებით“, პორტითა და პატარა კუნძულით.

3) „ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტევრითა“ (926); „თვით გულანშაროს ქალაქი სავსე, ტურფითა მრავლდთა“ (930). აქ უნდა იყოს გამოხატული ძველი ვენეცია, ზღვათა სამეფოს ცენტრი, თავისი მრავალსართულიანი სახლებითა და მნიშვნელოვანი პორტით.

რაც შეეხება პიროვნებებს, ჩვენ ვურჩევთ მხატვარს ტარიელის სურათი მისი თანამედროვე გმირის ჯელალ-ედინისაგან გადმოიღოს, ავთანდილისა—ნურედინის ან სალადინის რომელიმე ცნობილი სარდლისაგან; ფატმანის ფერადებით დასახვის დროს მხატვარს უნდა ახსოვდეს, რომ ვენეციელი ქალი ვენეციის უმაღლესი მატერიალური კულტურის, სიმდიდრის, კეთილდღეობისა და ფუფუნების გამომხატველია.

როდისაა დაწერილი ვეფხისტყაოსანი

ამ კითხვის გამორკვევა ჩვენ შემდეგი კითხვების ანალიზით უნდა დავიწყოთ:

1) რატომ არაფერს გვაუწყებს რუსთაველი ბიზანტიის დიდი და ძლიერი იმპერიის შესახებ, როდესაც ის თანადროულ სახელმწიფოთა სისტემას გვაცნობს?

2) რატომ გვაცნობს რუსთაველი გორის სამეფოს ყოფილ პროვინციას ინდოსტანს, და თვით ამ სამეფოზე არას გვაუწყებს?

3) რატომ გვაცნობს რუსთაველი შორეული აღმოსავლეთის სახელმწიფოებს, როგორიცაა ხვარაზმი და ხატაეთი, და მონგოლების სამეფოს კი სრულიად არ იხსენიებს?

4) რა სახელმწიფო ატარებდა „რომანიას" სახელს და რას მოასწავებს ამ სახელის ხსენება რუსთაველის მიერ?

ყველაზე საყურადღებო აქ მესამე კითხვაა. მონგოლეთზე დიდი იმპერია არც აღმოსავლეთს მოსწრებია და არც მსოფლიო ისტორიას. მგოსანი კი მას სრულიად არ იხსენიებს, თუმცა კარგად იცნობს იმ დიდ სახელმწიფოებს, რომელნიც მონგოლებმა დაანგრიეს. ეს მე მგონია უტყუარი საბუთი უნდა იყოს იმისა, რომ ვ ე ფ ხ ი ს ტ ყ ა ო ს ა ნ ი მ ო ნ გ ო ლ ე ბ ი ს წ ი ნ ა ა ზ ი ა ში გ ა ბ ა ტ ო ნ ე ბ ი ს წ ი ნ ა რ ი ს დ ა წ ე რ ი ლ ი, ეს გაბატონება კი მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოხდა (1236—40).

ძალიან საყურადღებოა აგრეთვე რუსთაველის დუმილი ბიზანტიის იმპერიის შესახებ. ერთი შეხედვით ეს დუმილი გაუგებარი გვეჩვენება საქართველოში მცხოვრები მგოსნის მხრივ. მაგრამ ცოტა დაკვირვების შემდეგ მივხვდებით, რომ ეს დუმილი ადვილი გასაგები და მრავალმნიშვნელოვანია. საქმე ისაა, რომ ბიზანტიის იმპერია რუსთაველის დროს არ არსებობდა. ის დანაწილებული იყო ჯვაროსნებსა და ვენეციელებს შორის. როგორც ვიცით, ეს არარსებობის ხანა ბიზანტიის იმპერიისა 57 წელს გაგრძელდა (1204—1261). აქედან ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსანი" სწორედ ამ ინტერვალის დროსაა დაწერილი, ე. ი. ბიზანტიის იმპერიის დაქცევის შემდეგ და აღდგენის წინ.

მრავალმნიშვნელოვანია აგრეთვე მგოსნის დუმილი გორის სამეფოს შესახებ და მისი მარტივი ცნობები ინდოსტანზე, როგორც ცალკე სამეფოზე. როგორც ზემოთ დავინახეთ, ინდოსტანი გორის

სამეფოს პროვინციას წარმოადგენდა. მისი განცალკევება სწორედ 1206 წელს ხდება, მის შემდეგ, როცა ხვარაზმელები და ხატაელები ფაქტიურად ბოლოს უღებენ ამ სამეფოს. აქედან ცხადია, 1) გორის სამეფო რუსთაველის დროს ისევე აღარ არსებობდა, როგორც ბიზანტიის იმპერია და ამიტომ არ იცნობს მას რუსთაველი, 2) განცალკევებული და დამოუკიდებელი ინდოსტანის სულთანატის ცნობა რუსთაველის მიერ უტყუარი საბუთია იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ამ განცალკევების შემდეგ, ე. ი. 1206 წლის შემდეგაა დაწერილი.

ბიზანტიის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდა ფრანგი ჯვაროსნების მიერ დაარსებული ძლიერი სამეფო, რომელსაც „რომანიას“ უწოდებდენ. ამ სახელს ზემოთ ვენეციის დოჯის ტიტულშიაც შევხვდით („Totius imperii Romaniae“). ამ სახელს რუსთაველიც იცნობს და იხსენიებს („რომანულისა დედლისა“—1390,2). რაკი სახელი „რომანია“—„რომანული“ (ფრანგული) ჯვაროსნების მიერ დაერქვა ახალს, მათ მიერ 1204 წელს დაარსებულ სახელმწიფოს, ცხადია ამ სახელის მცნობი რუსთაველი 1204 წლის შემდეგ გაეცნობოდა მას.

ეს საბუთები საკმაოდ მიგვაჩნია ჩვენ, რომ შემდეგი, თითქოს უტყუარი, დასკვნა გავაკეთოთ: **ვეფხისტყაოსანი შეუძლებელია 1204—6 წელზე ადრე და 1236—8 წელზე გვიან იყოს დაწერილი.**

პირველ შემთხვევაში (ე. ი. რომ „ვეფხისტყაოსანი“ 1204-6 წელზე ადრე იყოს დაწერილი) რუსთაველი 1) ბიზანტიის იმპერიას დაგვისახელებდა, 2) რომანიისა და ინდოსტანის შესახებ ვერას გვეტყოდა, რადგან ეს სახელმწიფოები არ არსებობდენ, როგორც ცალკე ერთეულები.

მეორე შემთხვევაში ე. ი. იმ შემთხვევაში რომ „ვეფხისტყაოსანი“ 1236—8 წლ. შემდეგ იყოს დაწერილი, მგოსანი მონგოლების უზარმაზარ იმპერიას გაგვაცნობდა, სამაგიეროდ კი ვერც ხვარაზმზე და ვერც ხატაეთზე ვერას გვეტყოდა, რადგან ეს სამეფოები მონგოლების წინააზიაში გაბატონების შემდეგ აღარ არსებობდენ.

გად. წარმ. 26. III. 1934
ხელმოწ. დასაბ. 11. IV. 1934
სტანდ. ქაღ. 62×88
ტირაჟი—2000
მთავლ. № ა-156.
შეკვ. № 602/172.

15
16
90
15
240 15
224 14
256 16

„ტექნიკა და შრომის“ გამომცემლობის სტამბა